



უტურნალის „ჯეჯილი“-სა

I ლომი და მგელი (კრილოვიდან) იგავი აკაკისა . . . . . 3

II. მელიას ხრიკები მოთხრობა თ. წაზიკაშვილისა . . . . . 5

III. ხარაზი ისტორიული ამბავი ვ. ზაჩნაძისა . . . . . 24

IV. ხალხური ლექსი, ჩაწერილი თ. წაზიკაშვილის მიერ . . . 31

V. როგორ გაბედნიერდა ტატე ფრანგულიდან ან. თ.-წ—სა 32

VI. ორი ობოლი, ლექსი შ. მღვიმელისა . . . . . 49

VII. დედამიწის გულის ამბავი, თარგმანი თ. მთავრიშვილისა 52

VIII მელია და მაიმუნი ეზოპის იგავი—შ. ლელაშვილისა . . . 60


IX სურათები ფრინველთა ცხოვრებიდან, III ილიკოსი . . . 62

X ცხენი და ხარი (იგავე-არაკნი ლესინგისა) ალ. ზაჩნაძისა . . 68

XI მეომარი მგელი—მისივე . . . . . 68

XII ლომთან მოსიარულე ვირი—მისივე . . . . . 68

XIII ანდაზები, გამოცანები, ხალხური ლექსები, ჩქარა გამო-  
სათქმელი, ზმა, აკროსტიხი, შარადა, რებუსი და სხვ. . . 70





# ქ ე ქ ო ლ ო

ს ა უ მ ა ა წ ვ ი ლ ო ნ ა ხ ა ტ ე ბ ი ა ნ ი

ჟ უ რ ნ ა ლ ი

იზარდე, მწკანუ ჯეჯილო,  
დაპურდი, განდი უნაო!...

ი. დ.

№ IV

წ ვ ლ ი წ ა დ ი მ ე ხ უ თ ე



ტ ვ ი ლ ი ს ი

ს ტ ა მ ბ ა მ . დ . ლ ო ტ ე ნ ი ა ნ ც ი ს ა ||| ტ ი პ . მ . დ . რ ო ტ ი ნ ი ა ც ა . ო ლ . პ რ . , დ . № 41 .  
1894 .



საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

Дозволено цензурою Тифлисъ, 12 Юля 1894 года.


---

VI. 24

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია

საქართველოს ენციკლოპედია



ლომი და მკელი

(კრილოვი)

აბძანდა ლომი საუსმედ,  
 შეექცეოდა ბატანსა;  
 არც ძვალს ზოგავდა და  
 არც რბილს,  
 მიაყოლებდა თან კანსა.

—  
 არ მიიწვია არავინ...  
 მან მარტობა ირჩია,  
 კარვ გუნებასე დამდგარსა,  
 ეკემრიელა ჩიჩია.

—  
 მაგრამ მითოთხდა აბუხად,  
 უძღური, ლეკვი, ზატარა;  
 წიწკნა დაუწეო ნელ-ნელა  
 ბატანის სორცს!.. დაეხიარა.

—  
 ლომმა შესედა ლეკუნას  
 და ხმაც არ გასცა საბრალოს,

თითქოს აძლევდა ნებითა  
საგლახოს და სამოწებლოს.


—  
 მკელმა რა ნახა ეს ყველა,  
 თქვა: „დავარდნილა ლომიო!..  
 ლეკვსაც რომ ვერას უბედავს,  
 ჩემთან რას არგებს ომიო?“

—  
 მივარდა ბატკანს მსუნაგი  
 და ლომს სტაცებდა ლუკმასა.  
 ეგონა, ისე როგორც ლეკვს,  
 ვერვინ გასცემდა მას ხმასა.

—  
 იუკადრისა ეს ლომმა,  
 მივარდა გარისნებული,  
 მისწი-მოსწია, გასლიჩა,  
 შეძკრთალი, ჰირ-დაღებული.

—  
 და მერე ბრძანა: „სულელი!..  
 რათ აჭევა გულის თქმასაო?..  
 რასაც ლეკვს აზატევენ,  
 ვინ შეარჩენდა მასაო?!“

—  
 ბევრია ჩვენში ლეკვები  
 და უფრო მეტი მკლებია!..  
 ჩვენ ეს არაკი იმათთვის  
 სამომღვროდ გვიანსლებია.



## მელიას ხრიკები



ვრინხსიან გორაკასე, სევის ჰირას, ამოეთხარა მელიას სორო. სოროს კარები შიგ ბექში იყო და სედ კვრინხსისა და ეკლის ბუჩქები ჭქონდა წამოფარებული. ეშმაკი მელია მოუფიქრებლად არაფერს გააკეთებდა. თავიდანვე ჭქონდა ეველაფერი მოფიქრებული და მოსაზრებული. ძართლაც და იმის სოროსთან ძნელად თუ ვინმე მიაღწევდა, გასაქცევი გზაც სულ ეკლებში ჭქონდა. ეველასე მეტად ძაღლებისა ეშინოდა. მელიამ ისიც იცოდა, რომ ამისთანა ეკლებში ძაღლი თან ვერ შეჭვებოდა.

მსე ჩასვლასე იქნება. ფრინველები იბინავებენ. მენახირეები ნახირს სოფლისკენ მოწინით მოაყოლებენ. მინდორი თანდათან მშვიდდება.

მელიას გამოეღვიმა თავის სოროში, თვალები მოიფშენიჭა, წამოჯდა, კუდი ქვეშ ამოიღო.

— გიშველა ღმერთმა, ჩემო კუდო, ეუბნება კუდს მელია, რა მასიამოწმებული მევეხარ. როგორ რბილად ვსივარ შენსე, მკონი ბალიშიც არ იყოს შენსავით რბილი, ბუმბულის დორიც შენთან ვერ მოვა. ცოტა ხანს კიდევ მასიამოწმე, მერე კი, ვინადროთ და ეს ჩვენი სახლი სულ ბუმბულით დავაკოთ. არ მოითელო კი დაარ დაძღუაო და დამანელო, აბა ავდგე ერთი გნახო, ისევ ისეთი



ლამაში და ფაფუკი ხარ, როგორც აქამდე თუ გაიქუცე; ეს  
 ოხერი საფხულის მოსვლა შეგათხულებს სოღმე. მეღია წამო-  
 დგა, კუდი უკან გაიშვირა და სიამოვნებით შედ გაიხედა.

— ფოლს არა გავს! რა კარგი რამ არის! ვის ექნე-  
 ბა ამისთანა კუდი?!

— კვერნასა!? — სა, სა, სა, სა! ვადიკასკასა მეღიამ — სა-  
 ცოდავი კვერნა. მე რომ იმისი ვიყო, იმ კუდს კი არ  
 ვატარებ. რა ვქნა რო ლამაშია, იმის მტერი ის არის.  
 იმ კუდისთვის არ უმწარბებენ დღესა?! სიკვდილი რო თან  
 არ ატაროს, მოიჭრას და გადააგდოს რა.

— შენ არა ხარ ჩემი მტერი, განა კუდი? შენ მარ-  
 ტო შემსახურები და ჩემს სიამოვნებაზე დგეხარ. შენს-  
 მეტი მოკეთე არაფერს შეავს.

— მართალია, მართალია, ექნოდ კუდი.

ამ დროს მეღიას სოროში შემოპარული მზის სხივი  
 მოჭხვდა,

— ჭერი ჭაა, კარგა დამძინებია, მზე კიდევ ჩადის, სა-  
 ლამო ახლოა, საცაა გორას მოეფარება.

ახა ერთი გავიხედა. მეღია წამოდგა, სველი ერთ  
 ბეწვი გადისწორა. გადილოკა, ჭაერი დასუნა და ნელა-  
 ნელა ფრჩხილებზე კარებისკენ გასწია, ფრთხილად თავი  
 გარეთ გამოყო, მიიხედ-მოიხედა, სევში ჩაიჭეიტა, გაღმა  
 გაიხედა და გამოძვრა.

— მძიან, მძიან, ამოჩხაოდ პუცელი..

— არ იქნა, ვერ გავაძლე, შე ღორო, უთხრა მეღიამ.

— მძიან, მძიან თრთოდ პუცელი.

— ევა მანც ჩაველახო, ვერც მაშინ გაძლები, იმასაც  
 მაგრე ჩქარა მოიხელებ, შე გაუძამდარო?!

— ძალიან გავსუქებულვარ, თქვა მელიამ, აბა, ერთი გადავსტე. მელიამ ისკუნა, რუს მეორე ნაწილზე გადასტა.

— ეოჩაღ, კარგა შორს გადმოვსტი!

— კულო, რუში კი არ ჩამავლო, რა უკან მეწევი? მელიას ფეხის ქვეშ რაღაც გაჩუხუნდა. მელია გვერდზე გადასტა. მობრუნდა, რამ შემაშინაო.

მელიის ნაფესურში მსუქანი კუტი კალია წამოდგა, ფეხები ააუუდა და მძიმედ გადასკუნდა.

-- აბა, ერთი კიდევ გადასტი! მიაძახა მადა აღძრულმა მელიამ. რა უშავს ჩავასრამუნო ეს სტუნია, შეწვა არ დაჭირდება.

— კალიავ, შენ რო შემაშინე, მეც უნდა შეგაშინო, აბა ერთი დადექ!

მაგრამ კალია რას დაუდგებოდა. შეშინებულ-შემწეუნებული მწერი მისტოდა და სულ ვირა-ვირა გადადიოდა.

— ხა, ხა, ხა! ცხენი არ დაგივარდეს, ცხენი, ხარ-ხარებს მელია და თან მისდექს კალიასა.

კულ-გასეთქილი სტუნია სულ გადიროა. მელიას კბილებში გრძნობს თავსა.

— გეყოფა სუმრობა, დადექ! და ჩაარტვა მელიამ თავში ტოტი.

მეგრე აწიხად წინა კბილები მოჭიდა; კალია საცოდავად გაიწმორა.

— მოიცა, შენ ისევ ცოცხალი ხარ? მელიამ ისევ ძირს დასვა.

იგრძნო თუ არა თავისუფლად თავი, კალია გადასტა. მელიამ ჩაარტვა კიდევ თავში. ასე ანტუნა კალია,

სანამ საცოდნო გვერდზე არ შემოწვა, ფეხები გაჭიმა და ორ უღვაძს-და ანძრევდა.

— გეოფა თამაშობა, თქვა მელიამ, ჩაიღო ზირში და კამფეტით ჩანსრამუნა.

— ეკ შენ, შავო-მუცელი, არ გეოფა.

— არ შეოფა, არ მეოფა, შემოჩსაოდა მძიერი მუცელი.

ამ რიგად შეჭევა მელია რუს ზირსა. კალიები და ჭიები ბლომად ჩააღავა თავის ტიტველ გუდაში, ახლა ზირის ჩაკემრიელება მოუნდა.

— ბორა სომ არა ვარ, სულ კალიები ვჭამო ქა, ზატარა ზირიც რითიმე ჩავიგემრიელო!

მიდის მელია, ჩირკვებში და ბუჩქებში იხედება, თაკვის სოროებსა ჭხუნავს. უცებ ცხვირში სასიამოვნო სუნი ეცა. ზირში ნერწევი მოადგა.

ჯვებში ნარის ჩიტა იჯდა და იქექებოდა.

რა კარგი იქნება ძაგისი საწიწკარა! მე ვიცი ძვალის ჩაკენება გამიჭირდება. ვეცადო!

ეზარება მელია. ნელა-ნელა მიცოცავს, მიწასე წეება, კუდს მიათრევს, ბალახებს ეფარება, თან ჩიტს თვალს ვერ აშორებს.

ჩიტი მობრუნდა, ორჯელ-სამჯერ ბოლო დააქნა, როგორც კაცები თითს დაუქნევენ ხოლმე ცელქს ბავშსა, — ქურდო, ქურდო! სად მიდისარ! მოვიდა მელია, გაიგეთ თვალები გააჭეიტეთ!

მელიამ სული გატერინა, გაინაბა. არ შეჭხედა ჩიტსა, თითქო არ ესმისო.

შეძინებული ჩიტი უფრო ძაღლა შესტა. თან რაღა-

საც წრინებდა და ჯავრობდა. ჩიტმა რაკი ნახა, რომ მელა იქ ვეღარ შესწვდებოდა, არხეინად წამოეუნტდა.

რამდენჯერმე შეჭხედა კიდევ მელიამ ჩიტსა, კბილები დააკაწკაწა და სირცხვილიანი გაიპარა,

— ეჭ, ისევ კალები, თორემ ჩიტი საშენოთ რას განდებს!

— თუ მაგისი ბუდე ვიგდე ხელში, კი მე თვითონ ვიცი, ფიქრობდა მელია.

## II

ადების დამე.

— საღამო მშვიდობისა, ნათლიდედ, რას დაფიქრებულხარ, ქვეყნის ვალს სიამ შენ არა გთხოვენ. ეუბნება მახვი.

— გმადლობთ, ჩემო დამ; არა ვერსა, ისე რაღა.

— მაინც ღმერთმანი სად მიდისარ?

— შენთან მოვიდიოდი, ჰატარა ზიტნის შეჭამადი მასესე.

— აი შე ეშმაკო მელიავ, რას დამცინი. მე რომ ბალახ-ბულახის ძირებსა ვჭამ, აკი ქურდსაც არავინ მეძახის! მოდი შენც ჩემ რჯულზე დადევ. ბალახი მუდამ არის. ჭმას შეგახვევ, მძიერი ერთხელაც არ დარჩები. არც არავინ დაგაუყვდრებს.

— არც უიძისობაა შენმა განარებამ, ქალო, ქვეყანა წახდა, ხალხი გაეშმაკდა, აღარავინ რად გვაგდებს, წელანაც ერთმა სკინტილიანმა ჩიტმა მასხარად ამიგლო. სისხლი ეელში მომაღვა, მაგრამ რას იხამ.



ამდამ კიდევ მივივლ-მოვივლი, მივიცუნცულ-მოვიცუნცულეებ ეგება ერთხელ კიდევ გავიწითლო კბილი, მერე კი ალების ღამეს დავიყენებ, შენსავით სულის საქმეზე დავდგები...

მსე ჩავიდა. სინათლე ქვეყნიდან სულ ერთიანად აიკრიფა. მხოლოდ ცოტადენი ცას-ღა შეჭრჩა. სმელეთი ბნელი დარჩა. ფრინველები ხეებზე შესდგნ, ნახირი და ღორ-ნბო სოფელში დაბრუნდა, ღამის ხარი მესრეებმა ჭალაში დაუარეს. მარტო მხიარული ბაყაყების გაუწეველად „როტოტო“ ისმის და ჩვენი ძელია ც ამ კალობის სმაზე ქეიფობს. ერთად ერთი მფლობელი მინდვრისა ეს არის ამ ქადა. კუდი კონტად გვერდზე ვადიდო, ურები მოიძახვილა და გადუარა ენებს საქცევებზე, ბევრი თავი ჩახარაძუნა ძვალ-ტყავიანად, მწერის ბუდიდან კვერცხები ამოსანსლა.

— ვერც ახლა ვაძღა ძელიას მუცელი?

— როგორ არა, ვაძღა და ვარვა ბარაქიანადაც ვაძღა. ძელიამ მუცელში თითქმის სიმძიმე იკრძნო. ახლა ამ ვაძღარ მუცელზე რო მწევრები წამომაწედნ, ჩქარა კი მოძახელებინებენ; ფიქრობს ძელია. მკონი კუდი-ღა დარჩეს უძელიად... ეჭ, რა ოხერი გოგრა მაქვს, ვინა ჭკითხავს მწევრები მომაგონეო, გუნებას რახედ ვინდენ. ის ვიფიქრო, წელან ღიაში როგორი მსუქანი ისვები დაცურავდენ, ოქროს ფრად რო ვაჭქონდათ ბრჭკიალი. კინაღამ თვალებით დავბრძავდი ცხვირ-წინ რო იმოდენა მწვერი ამიფრინდა. ფუი! რა ფისი ამეკრა თვალებზე, რო ვერ დავინახე. მერე ამ ჯეჯილობაში რა მსუქანი იქნება

სანამ კრუსად დამჯდარა. სწორედ სულელი ვარ მწვერ-  
სედ კარკს რასა ვჭამ!

### III

ს ტ უ მ ტ ა დ .

— რა ჭქენ, დობილო, ვერ გასძეღ, სომ აღარ გძიან?  
ჭკითხავს მახვი.

— ეხ, შენ აქვე ხარ? რაც მე წავეღ, მგონი მას  
აქეთ სულ აქ დგენარ და მელი.

— მოდი, მელიავ, დავსნდეთ, ვილაზარაკოთ, მეც მა-  
რტოკა ვარ, მოწყენილი; სად გავერთობი, ჩემი ამბავი  
სომ იცი, შენსავით მარდი ფესები არა მაქვს, სოროს ვერ  
გავცდები. ზატარას თუ გავივლ-გამოვივლი, მაშინაც ში-  
შითა და კანკალითა. ეს ოხრები ძალიან მოკლე ფესები  
მაქვს, კაცი ფეს-და-ფეს დამიჭერს, ძაღლს კი აბა სად  
გავეხვეწები. კიდევ კარგი ჩემი სორცი არ იჭმება, თორემ  
ჩვენი გვარეულობა სულ ამოვარდებოდა. არც ტევაგი მაქვს  
ძვირფასი. ჩემი ტევაგი მარტო თოფის ჩულებინათვის არის  
გამოსადეგი, ღირს კი იმისათვის მომკლან!? გამიგონე,  
მელიავ, აქ დარჩი, ბაღას-ბუღასი ბევრია, ძაჩიტას და  
თეროს ძირს არ მოგაკლებ, არ მოაკლდეს დღე ჩემს და-  
სრდილებს. მესობელიც კარგი მეავს; აქვე ჩემს ახლო  
ერთ ჩხიკვს აქვს ბუდე; ტყიდან ჩამოსულა და აქ კე-  
ლებში ჩაბუდებულა, როცა შენ არა გხედავ, ჩემი სი-  
ხარული და გამართობელი ის არის. რაც უნდა დადონე-  
ბული ვიყო, გულიდან სევდას გადამერის. ლამასიც მა-  
ლიან არის, სულ ნაირ-ნაირ ხმაზე ლაზარაკობს. ხან



კრუსივითა ჩსავის, ძერსსავით წივის, კატასავით კნავის, ან ძაღლივით ჭეფეს და ძამალივით ევის.

თქვენ რო გაცანოთ, უეჭველად დამეგობრდებით; ისიც ეძმაკი, შენცა, ორი ეძმაკი ქვეყანას ამოაგდებთ. მე კი აქ ველარ დავდგები მაშინ. ეს არის, რომ ჩემი სორცი არ გამოგადგებათ და ტყავი, კვერცხს მე არა ვდებ, თორემ არც მაგრე ადვილად დაგპობილდებოდით. სვალ საღამოზე ამოიარე, ჩსიკვიც შინ იქნება, ეგება იძანაც თავისი თავ-გადასვალი გვიამბოს, ტუიდან აქ რამ ჩამოაგდო, თუ ძავის თავს არაფერი საქმე იყო.

— უნდა წავიდე, თორემ საცაბ კათენდება. ღამე მშვიდობისა ქალო!

— დილა სინარულისა, კეთაყვა. აბა, როგორც გითხარ, არ დავიწყო, სვალ საღამოთი ამოიარე, ვილა-არაკოთ.

— კარგი, კარგი, ამოვივლი.

## IV

### ნ ა ც ნ ო ბ ი

„რამდენი რამე გადამხედია, ერთი წისქვილი არ მობრუნებულა ჩემ თავზე, თორემ სსვა ეველაფერი გადავიარე. უამბობდა ჩსიკვი ძახვსა და მელიასა. მელია კუნკუსოზე იჯდა, მწვეტი ცხვირი ცოტა აღმაცერად ჭქონდა აშვერილი, ხან ერთს გვერდზე დაჭხრიდა ეურს და ცერად შეჭხედავდა ჩსიკვსა ხან მეორე ეურს ჩამოსრიდა და ახლა აქედან შეაცქერდებოდა.

შინდის ტყეში ერთი მუსა იდგა. იმ მუსას შემოდგომასე ფოთოლი არა ცვივოდა, სედეკე სმებოდა და სამთარშიაც ისე დაბარდნული იყო სოლმე, როგორც საფსულში. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ საფსულში მწვანე ფოთლებით დაიბურებოდა, სამთარში კი სმელი ფოთლებით იფარავდა სიცივისგან თავსა.

სამთარში ეს მუსა კაი სახლსა ჯობდა. შევძვრებოდი შიგა, სევიდან თოვლს არ უშვებდა და გვერდებიდან ქარსა. ვიჯექ მუდროთ და ვთბებოდი, როცა გამძღარი ვიყავ და საშოვარსე არ ვიყავ წასული. სოფელიც ძალიან ახლო იყო. სამთარში იქიდან გამოვდიოდი იოლად, ნესხსა ვქექდი, ბზეში მიუოლილ მარცვლებს ვეძებდი, ნამცეცებსა ვკრეფდი; ღმერთმა უშველოს მშიერი არა ვკვდებოდი. თუ საფქვავს გაფენდა ვინმე, მაშინ სომ ჩემი ადგომა იყო, ჩავიხარებოდი, დავჯდებოდი ფარდაგსე და რაც შემეძლო ველანავდი და ველანავდი წითელ ზურის მარცვლებსა, თეთრს ქერსა და ვვითელს სიმინდსა. სიმინდი კი მერჩივნა, ნამეტნავად როცა ნედლია რა შეედრება.“

— რა ჭრელია ეს ჩხიკვი, უცქერის მელია და ფიქრობს. ცისარტყელასავით მხრები სომ აქვს. ჩემს სოროს როგორ მოუხდება! სორცი კი მჭლე ექნება. საჭმელად არ ევარება. ფრთები კიდე ჰო!

ფიქრობს კუდგრძელა და თან ჩხიკვისკენ მიექანება. რამოდენიც მელია იმისკენ მიიწეკს ჩხიკვიც უკან დგამს ფეხებსა.

— რა ეშმაკი რამ არის ეს ჩხიკვი, აბა თუ ერთს ადგილსე განერდეს, იქნება ახლოს მანდა მავის ქულა-



ჯის გასინჯვა, რა უკან-უკან იწევს. ეშმაკი რო უოფილას იმიტომაც აქ წამოუბძანებიათ.

— რა მსუნავი რამ არის ეს ძელია, მისგან კარგი არა გამოვარა, მაგრამ ბებერს მგელს რას მოატყუებს! ფიქრობდა ჩსიკვი.

— მერე, ჩსიკვო, მერე, მამა გიცხონდა, გვიამბე, მისება.

— ქათმები ბევრია იქითკენ, თუ არა?

— ბევრი, ბევრი, კვერცხები სულ სეებ ქვეშ აგროვია, კრუსადც იქვე სხედან.

ძელისა ზირში ენა კინაღამ გაუღნა ნერწვევისკან.

— კურდღლის ბაჭეებიც არის, ჩსიკვო? ძალიან ეშმაკებია თუ არა?

— კურდღლის ბაჭეებს ფეხს ვერ აუქცევს კაცი, ბევრს ბრუციანს ბაჭიან ჩავარტევი ჩემი ბოკვი ნისკარტი გამოვეყებულ კოფსროლიაში (თავში)

— მამ იქითკენ რო წამოვიდე მგონი მშიერი არ მოვკვდე. ეკითხება აღტაცებული ძელია.

— მშიერი?? აქური ძელიები სიმსუქნით გუდებს ძლივის-ღა ათრევენ. თუ არ მსუქანი მამალი არც კი იკადრებენ.

— ნამდვილად წავიდეთ, ნამდვილად, მინდა ერთი ენასო როგორი ქვეყანაა..

— მეც გულით მინდა წასვლა, დამენატრა ვეღლაფერი; ენასოთ ღმერთი რა წებლობას მოიღებს.. ჭო იმას გიამბობდით, მუსნსე ბუდე მქონდა. ჩემს ირგვლივ შინდებსე შაშვეებსა ჭქონდათ ბუდეები. როცა კრუსად ვიჯექ,

მორს წასასვლელად არ მეცალა, ავდგებოდი. ჩავეწარებო-  
დი შაშვის ბუდეს, და წასაც შიკ კვერცხს მოვასწრებდი,  
ვჭამდი. მერე გამოვიწარებოდი და ჩავჯდებოდი ჩემს ბუ-  
დეში, მოვა ზატრონი, ჰხედავს, აღარსად არის კვერცხები  
იქით ეცემა, აქეთ ემებს, რა დაგიკარგნია, რას ემებ? კბი-  
ლებს სომ ვერავის გაუსინჯავდა. ჩამომივლის კვერდსე,  
მეძახის:

— ბოლო ჭრელო, ჩემი კვერცხები ამოუსანსლია ვი-  
ლასაც, სომ არავინ გინახია?

— უი ჩემს თვალებს, რა უბედურება მოგსვლია, ვინ  
იქნებოდა ის თვალ დამდგარი, ვინ იცის, ან კვერსა  
იქნებოდა, ან ციუვი, აბა შენ იმათ რას გამოჩნები, ვინ  
იცის, სად გაძვრენ. ველარას უშველი, ისევ ისა ჯობია  
სელმეორედ დაიბუდო, კვერცხები დადვა, იქნება ღმერთმა  
გიშველოს, ბუდის მოძლა კი აბა რა სელს მოგცემს, და-  
გიკვიანდება, ბარტყებს ველარ დასდი. ვეუბნები მე.

მეორე დღეს ახლა სხვა ბუდეს დავხედავ, იქიდანაც  
ამოვალაკებ. ვნახავ, საღამოთი ერთი ჭერიალი და ჭახ-  
ჭახი დგა, კითხულობენ კვერცხებსა. კარკა ხანსა ვჭამე  
იმ შაშვის კვერცხები: მოვსუქდი, კრუსობა ვის ეტეობო-  
და, ძაგრამ ბოლოს კი ამომაშხამეს ჩემი ოინები.

შაშვები ძალიან შეწუსდენ, ვერც ბარტყები დაზარ-  
დეს, ვერც ქურდი იზოვეს; შეერილან ერთად და გადუ-  
წვევით ბუდეებს უეარაულონ, რომ ქურდი თხლესე და-  
იჭირონ. სოკი ღრუვში ჩამჯდარა, სოკი ფოთლებში შე-  
მძვრალა და იქიდან ელიან ქურდსა. მე რა ვიცი. ბო-  
ლოც კი არავის უჩანდა. შუადღის გულსე ამოველ ბუ-  
დიდან, გავიბერტყე, გავისწორე ფრთები, ერთიც დავიწ-



სიკვიანე და გავსწიე შვინდინში. ვესტუმრე ერთ ბუდეს, ცარიელთა, არც კვერცხებია, არც ზატრონი. ეჭ, აქ აღარ დაუღვია იმ უგუნურს, ვინ იცის, სად გაიკეთა მეორე ბუდე. ვესტუმრე მეორეს; ჩავისედე, ერთი კვერცხი გდია; ეჭ, ეს არაფერი ვიფიქრე, გავცდე, სხვაგან ვნახო! არა, მითხრა მუცელმა, ეგ ერთი აქ შეჭამე და მე რე სხვაგან წადი.

ჩავსტი ბუდეში და ვტაცე ნისკარტი კვერცხსა, დასე. ჩემს სისულელეს, აქეთ იქითაც არ ვისედები.

უნდა ამოვსულიყავი ბუდიდან, რომ ჩემს თავსე საშინელი ვაბმული ჭანჭახნი მომესმა და ერთი ყვითელ ნისკარტიანი შაშივი დამეტაკა. მერა კლანჭები და ჩამინისკარტა. ცოტა არ იუოს შევერთი. ვედარც ვაფრენა მოვახერხე, ვერც კვერცხი დავაგდე, არ მინდოდა ხელ-ცარიელს წასვლა და შაშივიც მკენკავდა. ბოლოს როგორც იყო გონს მოველ, ამოვსტი და მოვცხრილე ხმა ამოუღებლად. მომდევს უკან შაშივი, ჭვივის, ჭანჭახებს, მსკერტავს და მკენკავს. ხან შვინდებში შევძვერ, ხან ჩირგვებში შევიძალე, მაგრამ არ მესნება, მომდევს უკან, ვუვლით ირგვლივ ტყეებსა. არ ჩამომესნა და არა. რო ვერაფერი გავაწიე ისევ ბუდისკენ მოვაკურცხლე. ვავექანე და ფხაჭა მოვიდე, კვერცხი ბუდეში ჩავაგდე, ნისკარტი ვავაღე და მხრებ ვაშლით შეუტყე ურცხვ შაშვსა. სიკეთე მოგვეცეს მაშინ კი იკადრა უკან დადგომა; იტრიალა, იტრიალა, ხან იქით დაჯდა ხან აქეთ, რაკი ვედარ წამართვა კვერცხი, გასწია ჭანჭახით ტვისკენ. ვიჯექ ბუდეში და ეურს უგდებდი. რაღა დავმალე, კვეცხი აღარც კი მახსოვდა, ამ ერთმა შაშივმა როგორ შემამინა-მეთქი, ვჯავრობდი. ვუგდებ ეურს

და ერთი გასტვენ-გამოსტვენა, ჩხვილ-წრიზინი მოისმის; სის ფოთლებში შსრიან-ფოთსრიანი დვა. რას მოვიფიქრებ რა იქნება, რამდენი იმისთანა შემოჭამია, გაუცნაოთ კიდევ, მაგრამ შაშვს ჩემთვის უურებზე სასვიც ვერ დაუჭრია. ესლა რაღა ნისკარტს მომტყვენ-მეთქი. რაღაც ამბავი კი უნდა იეოს-მეთქი — ვამბობ. ისეთი სმაურობა იდვა, გეგონებოდა ტყეს სულ ნისკარტები გამოსხმია და ჩემზე მოდიანო, შევხედო თავზე ერთმა შაშვმა გადამიარა, და იქვე ახლო დაჯდა. ამას მეორე მოჭყვავ, მეორეს მესამე, მესამეს მეოთხე, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე, მეცხრე და ვინ დათვლის. აივსო მიდამო შაშვებითა, შავად დაიბარდნა ძუხები და შინდები. ტევა აღარ არის, შავ-მტევენებით ასუნძლიან.

— ერთჯა, როგორღაც საწეინარმა მხარმა მითხრა, თუ თავს არ უშველე, ცუდათ არის ჩემი საქმე, გული შემესუთა, გაღებული ნისკარტი ჩამომვარდა, კლანჭები დამიდუნდა, კისერზე ბუძბული ამეშალა. შაშვებმა ცოტა ხანს ილანარაკეს რაღაც, მერვე ერთბაშად აიშალენ და დამესხენ თავსა; დამიწეეს გლეჯა, წეწა და ფლეუთა. ვუძლე, ვუძლე და ვეღარ გავუძლე, ამოვძვერ ბუდიდან და დავეძვი დაბლა, გავეკარ მიწის ზირსა. გავძვერ და გამოვძვერ სეებში. მომდევს ამოდენა შაშვის გუნდი, მკლეჯენ, მცემენ, ჩემი ბუძბული აქა-იქ სეებსა და ბალახებში მოიფინა. მდიეს ხანამ არ დაბნელდა, ხანამ თვითონაც არ დაილაღენ, მერვე ჩამომესხენ. იქ რაღა დამაყენებდა, ავდექ და აქ კადმოვსახლდი. სადღაა აქ ის ცხოვრება, გავლარობდი, გავლატაკდი, გავსდი, სულ ძვლები მიხანს. სადღაა წინან-

დელი ზირის ზატვი. კვერცხებს ვინ იტყვის, სილიც კი დაქმნატრა, სად აღუბაღსა ვჭამდი, სად ბაღსა და ჟოღსა. ახლა ბაღსის თესლით უნდა ვირჩინო თავი და კაღია ჭყებთა. მერე ბუდეც ასე დაბლა მაქვს. ვეგლასი მუშინან. შენ კი დაგიძმობილდი და იმედი მაქვს მეღიები შენის შიშით ვერას გამიბედვენ.

## V

## მ ა ზ ხ უ ლ ი

ჩსიკვიპა ბევრი სხვა რაჲმე იღაზარაკა, მაგრამ ჩვენ აქ ვეგლას ვერ დაუწერთ, ბევრი მოვა, ,,ჯეჯილში“ არც კი დაეტევა, ამ ხანად ესეც კმარა იმის განსაზღვრებად. სოლო ამ ღაზარაკში კარგა ღაჲმე გავიდა, მეღიას მოჭმვიდა. ჩსიკვსაც კვერცხები გაუცივდებოდა.

— ღაჲმე მშვიდობისა მესობლებო, თუ ბუდეს არ მივხედე, კვერცხები გამცივდება, უნდა წავიდე, თქვენც მოკშიოდათ, მკონი უნდა ინადიროთ. წამოდგა წასასვლეღად ჩსიკვი.

— რას მიეშურები შე კაი, კაცო, მოგბესრდით, თუ რა არი? ზატარას კიდევ იღაზარაკებდი, მაგისთანა ენაწულიანი ეოფილსარ. ვინძლო არ დაკვივიწო და მარტო ამ ამბავს არ დაგვაჯერო, მიაძასა მეღიამ.

— ძილი ნებისა, ბოლო ჭრელო! გიშეგლოს ღმერთმა, რომ მაგრე შეგვაქციე, უმაღლებდა მახვი.

— რას ვაცქერიხარ მეღიავ, ჩსიკვის კვალსა, წავი-

დეთ, ვივასშმოთ, მსუქანი თეროები \*) ვიცი, გემრიელად შეგვეცეთ.

მელია ჩსიკეს უთვალთვალებდა, თვალი აწ მოაშორა, ხანამ აწ დანახა, სადაც ჩსიკვი შეძვრა.

— ჭო, ძალიან ზატოხანნი, თქვა მელიამ, დასე მაგ ეშმაკს როგორ ეკლებში გაუკეთებია ბუდე. მაგ კუნელს კი ადვილად დავისსომებ. მაჩვამ და მელიამ ვასშმის მისართევად გასწიეს.

ჩაუარეს ხნულის ზირებს. მაჩვი მადიანად შეექცეოდა მრავალძარღვასა და ვინტორას. \*\*) ფესებითა თსრიდა, კბილებით ამოკენეტდა ხოლმე. მელიაც თან დასდევდა.

— მიირთვი რამე, ქალო, მადას ნუ დამიკარგავ; შეექცე, აჭხ ეს თერო მიირთვი. თავაზობს მაჩვი.

გამოართვა მელიამ, აზიხათ მოჭიდა ზირი. მოუჭირა კბილები, ორად თუ სამად გაკენიტა და ისევ გადმოვარს.

— ფუი, ფუი, გაურეცხავი რო არა ვჭამო, რა ძალა მადვიან!

— შენ სულ მშიერი დარჩები, ჩემო დობილო; ახლა გასარეცხად სად უნდა ირბინო?

კარგა ხანს ისმოდა მაჩვის კბილების ხრამა-ხრუმი, მელია სხვა ფიქრებში იყო.

— ვერ გაჭმენი, წამო, დავიძინოთ, მაჩვო, ცოტა როგორღაც გუნება შემეკრბ.

\*) თერო — ერთნაირი მცენარეა, კარტოფილივით ძირი აქვს, ტკბილგემოსია.

\*\*) ვინტორაც თეროსა ჭკავი, მხოლოდ უფრო ტკბილია.

მანვი კარგად გამოძლა და მელიას რაღას აწყენინებდა.

— წამოდი და დავიძინოთ, მაგრამ შენ რომ შშიერი დაწი!

— რა უშავს, ერთი ღამის სიმშვილი მუცელს არ გაძინებოდა.

— ქათმის უივილი მოტანებული იქნებოდა, როცა მელია და მანვი ბინაზე მოვიდნენ. მანვი სოროში შეძვრა.

— მელიავ, თუ გინდა, შენც სოროში შემოძვერ, არსეცნად დავიძინოთ.

— არა. ნათლიდედ, ცოტა სიცხე მომცა, თუ ნიავსე არ წამოვწექ, ვერ გავძლებ, შენ არსეცნად დაიძინე, მეც მოვანყნებ როგორც იქნება. მელია სოროს ჰირსე, წვანესე, წამოგორდა, თან უური მანვისკენა ჰქონდა; დრო და დრო სოროს ადებდა უურსა, დავიძინა თუ ისევ ბორგავსო. მელიამ ორჯელ ჰკითხა კიდევ, კმანავს თუ გღვიძავსო. მღვიძავსო, უზანუსებდა მანვი.

— რატომ არ კეძინება ქალო, სომ არა გცხელა მ სოროში.

— ჰო, ცოტა ვერ მოვისვენე, რწვილებმა შემაწუხეს.

ცოტა ხნის უკან მელიას ხვრინი შემოესმა სოროდან.

ზის მელია, მუცელი სიმშვილით წიწკნის.

ის ჩხიკვი ახლს ბუდეში იჯდება, ამბობს მელია, მაგრამ რა უშავს, თვითონ იმასაც ბუდეში დავიჭერ, ჩემ ბუდეს როგორ მოუსდება იმისი მხრები. ნეტა ამ მანვის სძინავს. რო გაიგოს, გამოძიდებ, არ გამოძიებ. ისე

უნდა მოვასწავრო, რამ არც ჩსიკვმა გაიგოს და არც მჩხმა.

ჩსიკვმა რო გაიგოს, მშიერიც დავრჩები და შევრცხვები კიდევ. რო შევჭამო კი მუცელში ველანაფერს იფიქრებს. ახლა კი იმას იტყვიან, აი როგორი დაუნდობელი და გაუტანელი ეოფილა, ერთი დღეც ვერ დაგკინდოვო. დავანებო თავი და ისევ კალიებს ჩაუარო?!

მუცელი კი ამოიფოროს და რას დავდე. აქ მელიას სორცის კემო გაასსენდა, რამდენი დღეა ფრინველის სორცი არ უჭამია, დაენატრა.

— მაჭამე, მაჭამე, წიწკნიდა მუცელი.

ადგა ნელ-ნელა მელია, თითის ფრჩხილებსეც წაუფუნდა, სანამ კუნელთან მივიდოდა, ოცჯერ დაწვა და ადგა. ბოლოს როგორც იყო მიასწია, შედგა. სული მოიბრუნა, ჭაერი ხარბად შეისუნთქა, დაისვენა, რომ დაღლილობას არ გაეცა და სმა-მადლა არ დაეწყო სუნთქვა. შემგრა კუნელში და შეისედა მადლა.

ოჰ, ღმერთო, ბუდე რა ახლოა, სედ თავსე არის, ჩსიკვიც შიგა ზის. აბა მელიავ, ესლა შენ იცი როგორც ეონადად მოიქცევი; ერთი გაბედე და ჩსიკვი შენა თავის ბუდიანად. ეკ ქურდი მამუის კვერცხებს რო ჭამდა ახლა მე შევჭამო მაგისი კვერცხები!

აააარა მელიამ ჯერ ერთი ფესი, უნდოდა ბუდე ერთის ხელით ჩამოელო, მაგრამ ბუდე მადლა აღმოჩნდა.

— არა თუ უკანა ფესებსეც არ შევდეგ და ორივე ხელი არ ავუავ, ერთი ხელით ვერაფერს გაუარეკებ. ამ დროს მელიას კუნკუნოში ერთი საჩქლის კბილივით ეკალი შეერჭო. მელიას ძალიან ეძწავა; როგორც იყო მო-

ითმინა, სმა არ ამოიღო. სიმწარით კი სელები ძირს ჩამოუშვა. არა, თუ უცებ ზირი არა ვტაცე, შეიძლება სელიდან გაძისხლტეს. მელიამ აჭყო ცხვირი ძაღლს; აქ რამდენიმე კვალი შიგ რბილ ცხვირში შეერჭო. მელიამ სიმწვავეთ კინაღამ დაიფიქრა.

მელიას ცხვირზედ სისხლი ჩამოსდის, გულს მანც არ იტყვს. „ვისაც თევზი უნდაო, ფეხიც სველი უნდაო,“ გაუჭირებლად რა მოძივა! მერე ჩხიკვის სორცი მამირჩენს, ფიქრი არ არის. ბევრს ეცადა მელია, მერა ჯაკში, ეკლებისაგან სულ გაიკაწრა, გული მოუვიდა, როგორ თუ ამდენი იკაწრება და წვეული ჩხიკვი კი აქამდე სელში ვერ იგდო.

— ერთი უცებ უნდა შევხტე და რაც იყოს, იყოს!

შენტა მელია რაც ძალი და ღონე ჰქონდა. ამ დროს ჩხიკვამც დაიფთხრიალა და გაფრინდა. მელია კი ბურთივით ეკლებზე შედგა, თვალში კვალი ეძკერა და სიმწვავეთ ისეთი დაიფიქრა, რომ სორციში მჩხვს გამოეღვიძა. გამოვარდა მჩხვი და მაშინვე ჩხიკვის ბუდისკენ გასწია.

ჰხედავს მელია მატელივით ეკლებში დარჩენილს.

— ფუი, შევირცხვა ნამუსი, უსირცხოვ, არა გცხვენინან, აბა რა საქნელია, მიაძახა გულმოსულმა მჩხვმა; ასია შენსე, რომ არ ჩამოგიყვანო და ძაღლებმა გამოგვიწივნონ.

— მიშველე, მიშველე, ვვიროდა მელია. მჩხვა უშველს, როგორც იყო გასისხლიანებული მელა ჩამოიყვანა.

— კიდევ იქურდებ? სო ჰნახე რო ღმერთი ქურდს არ შეარჩენს.

— რას მიბძანებ, ნათლიდედ, შენს გახარებას, შენმა

მუშა და ჩემი შვილების დღეგრძელობამ მე თავს გამო-  
კვიდე, იმას შევევე, თორემ აბა შენგან არ მიკვირს, იქ  
რს მიძიუვანდა, მერე ნაცნობისა და მეგობრის ბუდეს-  
თანა.

— მამ მადლა რაღა გინდოდა, ეკლებში რო გა-  
ხრილხარ?

— ეკლები შეძერჭო, სიმწვავით შევსტი, ჩემი თავი  
მინდორსედ მეგონა, რაკი ბნელოდა, ვერაფერი გავიგე და  
აქ კი გავები!..

თ. რაზიკაშვილი



## ხარაში

(ისტორიული ამბავი)



ელავეში ბევრი იცნობდა ხარაზ პაპუნას. თითონ ბატონ ერეკლესთანაც რამდენჯერმე ელაპარაკნა იმას.

პაპუნა ცხოვრობდა ქუჩის პირას, ხარაზხანის ბოლოში. ღუქნიდან კარგადა ჩანდა გამვლელ-გამომვლელი. ხარაზი ბევრს მარტო ფეხებში შეხედვითაც კი იცნობდა, რადგან ბევრის ფეხსაცმელი ჭეროდა ხელში. მკვიდრი საქმე იცოდა, მეტის და-

ფასება და ვაჭრობა არ უყვარდა, ამისთვის ბევრი მუშტარი მისდევდა იმას.

პაპუნა შუა ხნის კაცი იყო, როცა ცოლი მოუყვდა. ხუთი წლის ბავშვი ღარჩა. ჯერ დააპირა სიდედრთან გაეგზავნა ყმაწვილი, მაგრამ ვეღარ გაიმეტა და თავისთან დატოვა. დათიკა მალხაზი და აზრიანი ბავშვი დადგა; მალე მიხვდა ხელობას; შეელოდა კიდევ მამას. ხარაზს თვალის ჩინს ერჩივნა თავის ვაჟი, მაგრამ რა! უბედური მამა იყო: ყმაწვილი ერთხელ გაცივდა და მოკვდა.

დათიკას სიკვდილის შემდეგ პაპუნას ძლიერ ღარჩა ღარღმა ხელი. ისე ჩაეთუთქა გული, რომ სიცოცხლე მოსძაგდა: აღარც საქმე ეხალისებოდა, აღარც სახლ-კარზედა ჰქონდა გული; „ვისთვის მინდა!“ ამბობდა ის. იყო გარინდებული, ან შავი ფიქრებით ერთობოდა.

\*  
\* \*

ერთხელ პაპუნას ესტუმრა შუამთიდან ბერი ლეონიდე. რომელიც მაშინ მეცნიერ და მწიგნობარ კაცად ითვლებოდა. მასპინ-

ძელს ძალიან გაეხარდა სტუმარი და შეჰჩიელა იმას თავის დარღე-  
ბი. სტუმარმა გულმოდგინედ მოისმინა იმისი დარდი და ანუგეშა:

— ჭეშმარიტად ძნელი განსაცდელი მოუვლენია ღმერთს შენ-  
თვის, მაგრამ მაინც ეგრე არ უნდა იბოროტებდე თავს, უიმედობას  
არ უნდა დაჩაგვრინო თავი. ყოველთვის ჩვენ სურვილზე, ჩვენ ნე-  
ბაზე ხომ არ მიდის ცხოვრება! ყველაფერი ისე ხდება, როგორც  
განგებასა სურს. უფლის ნება ყოფილა, რომ დათიკო მომკვდარიყო,  
შენ კი ცოცხალი დარჩენილიყავ. დიდება იმის სამართალს! შენ იმი-  
სთვის წუხნარ ეგრე და ჰყვედრი უფალს, რომ მარტო შენი სიამო-  
ვნებისთვის გდომებია ცხოვრება.

— მართალსა ბძანებ, მიუგო ხარაზმა, მინდოდა მეც მესიამოვნა  
რამე ამ წუთი სოფელში, ამაგი დამფასებოდა; ცხოვრება დამეცარა,  
იმედები გამიცრუედენ და რაღაღ მინდა თავი ცოცხალი?

— არა! კაცმა მარტო თავის სიამოვნებისთვის კი არა, ღეთისათვი-  
საც უნდა იზრუნოს; იმას მოუცია ჩვენთვის სიცოცხლე, იმასვე უნდა  
შევწიროთ; თუ ამ გვარ ცხოვრებას დაიწყებ, ეგრე აღარ იწუხებ.

— მერე როგორ უნდა ვიცხოვრო ღეთისათვის?

— თითონ გვასწავლა, როგორ უნდა ვიცხოვროთ იმისთვის.  
კითხვა ხომ იცი და მე სახარებას გამოგიგზავნი, იმაში წერია ყვე-  
ლაფერი.

\* \*

პაპუნას მოეწონა მეგობრის რჩევა; იშოვა სახარება და დაიწყო  
კითხვა. ჯერ მარტო კვირა-უქმობით კითხულობდა, მაგრამ წიგნმა  
ისე გაიტაცა, რომ ყოველ დღე ცდილობდა ცოტა მაინც ჩაეთე-  
ლიერებინა. ხანდისხან ისე გაერთობოდა, რომ ჭრაქი მთლად ამოი-  
წვებოდა, ის კი ჯერ ისევე კითხულობდა. რამდენიც უფრო მეტს  
კითხულობდა, იმდენად დარდი თანდათან უქარწყლდებოდა: წინად  
ლოგინში რომ ჩაწვებოდა, სულ თავის დაღუპულ ოჯახს იგონე-  
ბდა, სულ გმინავდა, ეხლა კი ისე აღარა შფოთავდა: იტყოდა ხო-  
ლმე: დიდება შენდა უფალო, ასრულდეს შენი ნება!

ხარაზის ცხოვრება შეიცვალა. წინად უქმ ღღეს ის ქეთუშიაც  
ატარებდა. თუ ან ვისიმე დუქანში კარგ ღვინოს შეაგულდებდა, ან  
მეიდანზე ურმით გასასყიდათ ჩამოტანილი ღვინო მოეწონებოდა, და-  
სხამდა მეგობრებს და ასმევდა. შეზარხოშებუი პაპუნა აღარც ფთხი-



ლობდა: ყვიროდა, ჩხუბობდა, ილანძღებოდა. ახლა ყველა ამას თავი დაანება; ძლიერ წყნარი ცხოვრება დაიწყო; აღრიანად შეუდგებოდა მუშაობას; როცა დაილაღებოდა წიგნს მოჰკიდებდა ხელს.

\*  
\* \*

ხარაზს ერთხელ ძილი გაუკრთა. მამლებმაც იყიველეს, მაგრამ ის, ისევ სახარებას კითხულობდა, წაიკითხა: „როგორცა გსურთ, რომ თქვენ გექცეოდნენ, თქვენც ისე მოექცეით სხვებს. რად მეძახით: უფალო, უფალო! იმას კი არ ასრულებთ, რასაც მე გიბრძანებთ? ვინც ჩემ ბრძანებას ასრულებს, ის იმ კაცსა ჰგავს, რომელმაც სახლის საძირკველი კლდეზედ დაამყარა, მოვარდა ნიაღვარი, მიაწვა სახლს, მაგრამ ვერ შეძრა, რადგან საძირკველი მაგარი ჰქონდა; ის კი ვისაც ესმის ჩემი ბრძანება და არ ასრულებს, იმ კაცსა ჰგავს, რომელმაც ქვიშაზედ ააშენა სახლი უსაძირკველოდ: მოვარდა ნიაღვარი და წაღეკა სახლი“.

— ნეტა ჩემი სულის საეანე საძირკველზედა დგას, თუ უსაძირკველოდ არის აშენებული? ფიქრობდა პაპუნა. კარგი თუ საძირკველზედა დგას! ეგონებ ეხლა კეთილადა ვცხოვრობ...

უნდოდა დაწოლილიყო, მაგრამ კბდევე ვერ დასთმო წიგნი. წაიკითხა ის ამბავი, მდიდარ ფარისეველს რომ ეწვია ქრისტე; მაგრამ ის შესაფერად არ დაუხვდა, მეძაგმა დედაკაცმა კი ნელსაცხებელი სცხო ფეხზე და ცრემლით მობანა. ქრისტემ უთხრა მაშინ მასპინძელს: „მე გეწვიე და შენ წყალიც არ მომიტინე ხელ-ფეხის გადასაბანად, ამ დედაკაცმა კი ცრემლით დამბანა ფეხი და თმით შემიმშრალა; შენ არ მომესალმე, ეს კი ფეხზე მემთხვია; შენ ზეთი არა მცხე თავზე, ამან კი ძვირფასი ნელსაცხებელი მცხო ფეხზე“.

— ეტყობა, ფიქრობდა პაპუნა, ის ფარისეველი მე მგვანებია. მეც ხომ მარტო ჩემ თავზედ ვფიქრობ. ოღონდ არ მომშიედეს, არ შემციედეს, არა მეწყინოს რა და სხვის დარდი არა მაქვს! იმასაც ხომ მარტო თავის თავი ახსოვდა, სტუმარზე კი არა ფიქრობდა. მერმე ვინ იყო ის სტუმარი? — თითონ უფალი! ნეტა მეც ისე გულგრილად დავხდებოდი იმას, ჩემთან რომ მოსულიყო? — არა მგონია! ამისთანა ფიქრებში იყო გართული, როდესაც ჩათვლიმა.

— პაპუნაე! გაიშრიალა უეცრად სახლში.

მძინარე შეკრთა და დაიძახა ვინ ხარო. მერმე მობრუნდა, შე-

ხელა კარებს, მაგრამ ვერაფერი დაინახა. ძილმა ისევ თავი წაართო.

პაპუნაე! ხელ გეწვევი.—წემოვსმ აკიდევ.

მძინარე წამოხტა, მოიფშენიჭა თვალები, გადმოვიდა ტახტიდამ, დაათვალიერა, მაგრამ ვერაეინა ნახა. ძალიან დაფიქრდა. ბოლოს გადიწერა პირჯვარი და ჩაწვა.

\*  
\* \*

წამოდგა პაპუნა დილით, დაიბანა პირი, ღმერთი ახსენა, და-  
ნაყრდა, გამოვიდა დუქანში, ჩაუჯდა საქმეს.

მუშაობდა; ის წუხანდელი ხმა კი ყურში უქლრიალებდა. ხან მოლანდებდა ეგონა, ხან დარწმუნებული იყო, რომ ცხადიე გაიგონა. მუშაობდა, თან გამეღვლე-გამოვღვლეთ ათვალიერებდა; უნებლიეთ ვი-  
ლასაც ელოდა. აგერ გაიარა ხირსელაანთ შაქრომ, აგერ ყასაბი ვა-  
ნო, აგერ ვახვანანთ მზარეული. ხარაზი ამით ყველას კარგათ იცნობდა, იმისი მუშტრები იყვენ. ქუჩის თავში გამოჩნდა დათია. მოხუცს კო-  
კით წყალი მოჰქონდა. დათიას სამადლოთ ინახამდა პეტრე დეკანოზი, მაგრამ ის მაინც ცდილობდა ხელი გაეძრა, მუქთი მჭამელი არ ყო-  
ფილიყო.

— დათია ყოფილა! წიბუტბუტა პაპუნამ და დაუწყო ტყავს მუშტათი ცემა. გულმა მაინც ვერ გაუძლო, ისევ გაიხედა, დათიას კოკა დაედგა, ისვენებდა.

— ჯან გატეხილია, სად შეუძლია მუშაობა! მოდი არაყს და-  
ვალევიწებ, იფიქრა პაპუნამ და შეიწვია ბერიკაცი.

დილა მშვიდობისა. ხელები დამაძრა. მიაყუდა კოკა და შევი-  
და. უნდა თოვლიანი ქალამნები დაებერტყა, მაგრამ წაბარბაცდა.

— მე გაგიწმენდ, ჩენი ხელობაა—უთხრა ხარაზმა. მერე დასვა და არაყი მიუტანა; თითონ კი მალ-მალ ქუჩაში იხედებოდა.

— მუშტარს ელი? ჰკითხა სტუმარმა.

— არა, ლოდინით კი არავის ველი, მაგრამ ის წუხანდელი ხმა კი ვერ დამივიწყნია, უთხრა პაპუნამ და უამბო, რაც იმ დღეს და-  
ემართა. დათიას ძალიან გაუკვირდა ნაამბობი.

წავიდა დათია. ხარაზი ისევ მუშაობას შეუდგა. მუშაობდა და თან თითქო ვილასაც ელოდა, გაიარა ზურაბ მოურაემა, უკან გლე-  
ხი მიდევდა; პირველს მაღალ ქუსლიანი წაღები ეცვა, მეორეს ქა-  
ლაშბი. გაიარა სირაჯმა მელქომ ჰეინტიან ჩექმებით. აგერ მენახში-



რეც თავისი ჯორებით; თოქმაჩი ღარხო ევაქრება იმას. ლუქანს და უპირდაპირდა ძონძებში გახვეული დედაკაცი. ერთი ბავში ხელში ეჭირა მეორე უკან მიდევდა. ლუქნის წინ შედგენ. გალურჯებული ყმაწვილი ტიროდა. ძუძუს არ იდებდა.

— რას დგენხარ მაგ სიცივეში? შემოდი, გაათბე ე ბავში, დაუძახა პაპუნამ.

დედაკაცმა ბოდიში მოითხოვა და შევიდა. გამხდარ სახეზე სიმწარე აბეჭდოდა. დიდრონ მორღვეულ თვალეებში ხან შიში, ხან სევდა, ხან სიშკაცრე ეხატებოდა.

პაპუნამ ყმაწვილებს ღილი გამოუტანა. დედაკაცმა სული რომ მოითქვა უამბო. რუის პირიდან გახლავარ, უღელთან მათეს ქვრივი. შარშან კაცი ლეკებმა მომიკლეს. დამრჩა ობლები. ი ჩემი ცოდვით სავსემ ბატონიანთ მოურაემა ოჯახი დამინიავა, ხან რა შარს მომიდებს, ხან რას; ახლა გუშინ მითხრა, ბატონი შენ ბაღჩას და საბძელკალოს ტეტეას აძლევსო. რათა, შენი ჭირიმე? ქვეყანაა და სამართალი! ამათმა მამამ მტერს თავი შეაკლა და განა იმის ობლებს ბინაც კი უნდა მოუშალონ?! წავედი შევაწუხე ქალბატონი, ბატონიც ვინახულე, მაგრამ არ გამიკითხეს. მოურაეის სიტყვა ბეჭედია იმათთვის, ის უღვთო კი სისხლს მიშრობს. ეხლა პირდაპირ დედოფალთან წამოვედი. ვაჩვენებ ამ საცოდვეებს, მოვეხვევი მუხლებზე და ის გამიკითხავს.

— სად ვაგონილა ამისთანა უსამართლობა! თქვა პაპუნამ, მაგრამ ნუ წუხარ: დედოფალი მოწყალეა, შესტირე შენი სატირელი გაგიკითხავს, და ასწავლა ვისთვის უნდა მიემართნა, რომ დედოფალთან მიეყენათ ის.

მზე გადახრილი იყო, როდესაც პაპუნას ლუქანს დაუხლოვდა ბებერი დედაკაცი. ხელში ვაშლით სავსე კალათა ეჭირა. კალათა დარაბებზე დადგა და სიცივისაგან დაბუხულ ხელებს ითბობდა. წამოეპარა პატარა ბიჭი, დასტაცა ვაშლს ხელი, მაგრამ დედაკაცმა მარჯვედ ჩაჰკიდა იმას თმაში ხელი. ბავშმა გააგდო ვაშლი ხელიდან. მორთო ღრიალი. გაფითრებული დედაკაცი წყველიდა და ცემდა იმას. ხარაზმა გააგდო მახათი, გამოეარდა და როგორც იყო გააგდებინა ბავში ხელიდან. ბავშმა გაქცევა დააპირა, მაგრამ პაპუნამ არ გაუშვა და უთხრა:

— მოითხოვე ბოდიში დიდელსთან, უთხარ, რომ თავის დღეში აღარ გაბედავ ამისთანა ცუდ საქმეს!

ყმაწვილი ყოყმანობდა, გვერდზე იბღვირებოდა. ხარაზი თავზე ხელს უსვამდა იმას.

— ეგრე მაგისტანა ლაწირაწკებს სულ გარყენით; ალერსი კი არა ლაწათიანი ცემა უნდა მაგისტანებს.

— ეჰ! თუ უსუსური ბავში ხილის მოტაცებისათვის ეგრე უნდა დავსაჯოთ, მაშუ ჩვენ რილასი ღირსნი ვართ ჩვენი ცოდვებისათვის? ღმერთმა ხომ გვიბძანა, თუ გინდათ შენდობა მიიღოთ, თქვენც ყველას აპატიეთ დანაშაულიო და მაშუ უგნურ ბავშს უფრო არ უნდა ვაპატიოთ?

— მრთალი ბძანებაა, მაგრამ ძალიან არიან გაცელქებულები.

— გაცელქებულები რომ არიან, წყნარად, გონიერულად უნდა ვარიგებდეთ, ჩვენ კი უფრო ვამწარებთ და ვაზნავთებთ.

— მართლა და მეც ეგრე გამოვცადე პატარებზე. შეილიშვილები მყენან, ძლიერ კარგი ყმაწყვილები არიან; კალთიდან არა მშორდებიან.

— შეილიშვილების მოგონებაზე მთლად დამშვიდდა ბებერი; ღიმილმაც კი გაღიზინა იმის დაღმეჭილ ტუჩებზე.

— აბა, შეილო, მიუბრუნდა ბავშს, რად ცელქობ, ამ სიცივეში გარეთ რას დარბიხარ? აჰა ვაშლი, ნულარ იცელქებ საყვარელო!

\*  
\*  
\*

დალამდა. პაპუნამ დაითხოვა შეგირდები, დაკეტა დუქანი, ანთო ჭრაქი და ისევ დაიწყო მუშაობა: საჩქარო საქმე იყო, უთუოთ უნდა გაეთაყებინა. გაათავა წალები, გადაატრიალ-გადმოატრიალა, შეხედა გამოცდილი თვალით და მოეწონა. ვაზშამს უკან სახარების კითხვა დაიწყო, მაგრამ მალე მოჰყვა მთქნარებას, თვალები ებლიტებოდა. უეცრად ხმაურობა შემოესმა. ზურგს უკან თითქო იძროდა რამე. მიიხედა — ბნელ კუთხეში ვილაცხები იდგენ. შეკრთა.

— პაპუნაე! ველარ მიცანი? მოესმა ხმა.

— ვინა ხარ? რა გინდა აქ?

— მე ვარ! თქვა და წამოდგა წინ დათია; გაუღიმა ხარაზს, მერე ნელ-ნელა მიეფარა და გაქრა.

— ვერც მე მიცანი? შემოესმა კიდევ და ბნელი კუთხიდან გამოერჩია დედაკაცი ყმაწვილებით. იმათაც გაუღიმეს და მიეფარენ.

— მეც ველარ მიცან? მოისმა კიდევ და წინ წამოდგა ბებერი

დედაკაცი. ცელქ ბავშს ერთი ხელით დედაკაცის კაბის კალთა ეჭირა, მეორე ხელში ვაშლი. ორივემ გაუღიმეს და მიეფარენ.

პაპუნამ სიხარული იგრძნო, იმის გულს ნათელი მოეფინა. მოიფშენიბა თვალები, გადიწერა პირჯვარი. ოთახში აღარაგინ ჩანდა. გადაშალა სახარება საცა მოხვდა და წაიკითხა: „ღაიმკვიდრეთ სასუფეველი, რადგან მშობიდა და მაჭამეთ, მწყუროდა და მასვით, შიშველი ვიყავი და შემმოსეთ, სნეული ვიყავი და მომხედეთ“...

ახლა კი მიხვდა პაპუნა, რომ იმ ხმამ არ უმტყუნა და თითონ მაცხოვარი ესტუმრა იმას გაჭირვებულების სახით.

გ. ბარნოვი



\*  
\* \*

(ხალხური ლექსი, სარქისა პაატაშვილის ნათქვამი).




იკომა თქვა: სარდალი ვარ,  
 თუ რომ ჩემი გაიგება,  
 შვიდი დღე და შვიდი ღამე  
 დაჯდა, წვერი შაიდება,  
 თუ გორის ცხენე ავიღეთ,  
 ქართლი ჩვენი შაიქნება,  
 მჭადიჯვარს რო მივატანეთ,  
 საქმე მაშინ გაჭირდება.  
 იქ რო ბებერმა საქმე ქნა,  
 ის არ უქნია სხვასაო,  
 ორი ბელადი მოგვიკლან  
 მთელ შეურილ დაღისტანსაო.  
 მესამე რო გამოვიდა —  
 დასე იმ ჭკუა მდგარსაო!  
 ესროლან თავის მახარი  
 მონარტყა შუა მვალსაო \* )  
 იმისი ჭამა ქელესი,  
 მჭადიჯვარს ედვა თავსაო  
 დმერთო აცხონე ბებერი,  
 წავიდა თავის გზასაო!

---

 \*) ისევ იმ ბებერმა.

## როგორ გაბედნიერდა ტატი.

(ფრანგულიდან გადმოღებული)



ორს, შორს, სადაც არის ბლომად მწვანე ველები, მთა-მინდვრები, მდინარეები და წებრები აი, იქ, იმ ქვეყანაში, რომელსაც ფლანდრია ეძახიან იყო ერთი ჰატარა სოფელი, სულ ასირდე კომლი კაცი ცხოვრობდა. ამ სოფლის ერთქონს ისეთი ჰატარა სანათურები ჰქონდა, რომ ხუჭუჭ თმისანი ბავშვის თავი

შივ გაიჭედებოდა.

აღრე ეს ქონი კაი სანასავი იყო, მისი ბუხრის თავი კოპწით მოხანდა, კედლები წითლათ შეღებილი იყო, კარშემო ლამაზი ღობე ჰქონდა შემოვლებული სახლსაც და კარტოფილის ბოსტანსაც. ახლა ვეულაფერი დამკვლევ ბულიყო და საბრალოდ გამოიეურებოდა. კვამლი დია ჭერიდან იგებდა გზას, კედლები წვიმას ჩამოერეცხა, ღობე გადმოწოლილიყო.

ამ ქონის ზატრონებს, ძალიან მოხუცებულ ცოლ-ქმარს, ერთი ზატარა შვილიშვილი ჰქავდათ. რასაკვირველია, ვერც მოხუცებულები და ვერც მათი ზატარა შვილიშვილი ტატე ვერ უვლიდენ ქონს და დღეს სვალ ეს თავშესაფარი თავსე უნდა დანგრეოდათ.

ეს ოჯახი სიმძლითაც ამოწედა, თუ რომ ამ მოხუცებულ უსინათლო ჯარის კაცს არ ცოდნოდა ბადების ქსოვა და იმის მოხუცებულ ცოლს შნო არა ჰქონოდა ცოცხების შეკვრისა და გაუიდვისა. კარდა მაგისა სოფელიც ხან-და-ხან აწოდებდა ფქვილს სამოწეალოდ.

ორი-სამი წლის წინეთ ესენი არ იყვენ ასე გაჭირებულნი, რადგან მოხუცებულების შვილი და რძალი, ზაწია ტატეს დედ-მამა ცოცხალი იყვენ, მშრომელი ახალგაზდა ცოლ-ქმარის მეოხებით ოჯახი დუღდა და გადმოდოდა, მაგრამ უბედურება ძალე ეწია მათ.

ერთ კვირას დილას ხალხი წირვასე მიდიოდა; ნავით ტბის მეორე ნაპირს უნდა გადასულიყვენ.

ამ დროს ამოვარდა დიდი ქარიშხალი, ნავი გადაუბრუნდათ და ტატეს დედ-მამა ბევრ სხვებთან ერთად დაისრჩენ ტბაში.

ამ დღეს მოხუცებულები შინ ფოფილიყვენ: ზაზა იმიტომ, რომ ბრმა იყო და ბებია — შვილიშვილის, ზატარა ტატეს, მოსავლეადა.

იმ დღეს წირვის ზარის რეკასთან ერთად ჩამოჰყარეს სამწუსარო ზარი იმ ჰირთა სულის მოსახსენებლათაც, რომელნიც ასე უცაბედათ დაისრჩენ.

დარსა ეს ორი მოსუცეპული ზაწაწა ებაწვილით სი-  
ღარიბეში ჩაჯარდნილი და ნაღვლიანი, ბავში თურაძაულ  
ვაშლივით დარგვალეპული და წითელი იურ; მიმსიდეკელი  
და ჭკვიანი ლურჯი თვალები და ოქროს ფერი თმები ჰქონდა.  
მაგრამ არც მისი თურაძაული ვაშლივით წითელი ღოჯე-



ბი და არც მისი ოქროს ფერი თმები კუჭს არ გაუძღე-  
ბდენ ამათ. რა დროსაც უნდა გაველო კაცს იმათ ქოსი-

სკენ ემაწვილი ან სანათურიდან გამოიუწრებოდა, ან ქოსის წინ თამაშობდა.

შემოდგომის ბნელ და ბურუსიან ღამეში ქოსიდან ეოველთვის სინათლე მოჩანდა. უსინათლო შუა ოთახში იჯდა სოლომე და წინაჲდა ბადეს; მოსუცებული დედაჲც კი კითხულობდა საღვთო წერილს, ტატე ცეცხლად ზირას ეთამაშებოდა კატას და სასოებით ეურს უკდებდა ბებიას, თითქო რამე გაეკებოდა. ბოლოს დაიწეებდა თვლიქას, ბებიას კაღთაში ჩადებდა სუჭუჭ თავს და ტებილათ ჩემინებოდა.

ეს ღვთის მოეჲარე ოჯახნი ცხოვრებდა მეუღროთ და მშვიდათ; ბევრი იყო ისეთი მდიდარი ოჯახისი მეზატრონეც, რომ ამათი ცხოვრება სანატრელათ მიანდათ.

ამ ქოსის წინ მიდიოდა გზა-ტეეცილი, რომელიც მეგრული იყო და მსოლოდ გამჲულელ ეტლებისთვის განსნიდენ. დანახაჲდა თუ არა წითელ ღოეებიანი და სუჭუჭ თმიანი ტატე, რომ ეტლი მოდის, მაშინვე იქ დაიბადებოდა და განსნიდა გზას.

ღლითი-ღლე ისდებოდა ტატე და კანებაში ვარდებოდა; მართალია წერა-კითხვას არ სწავლობდა, მაგრამ ეველაჲყერს გულ-მოდგინეთ ათვალიერებდა, სირბილი კაი იცოდა, მეტადრე თოვლში, ფრინველებს დევნიდა და კიდევ ერთი სიკეთე ჭირდა, როდესაც მისი ბებია წელის ზირას სარეცხს რეცხდა ტატე ბადეს ისროდა წელში თევსების დასაჭერად. მართალია თევსებს იშვიათად იჭერდა, მაგრამ დაჭერის სურვილი კი დიდი ჰქონდა. ტატეს შექლო ცოტადენ მანძილსე ცხენით გაჲლაც, მეტადრე როდესაც გვერდით ვინმე ჰქაჲდა; ჯონებიდან მარსილებს

აკეთებდა, ზურის ცომიდან ცხენებს და ძროხებსაც გამო-  
იუვანდა. ერთი სიტყვით ეს ჩვენი სუთი წლის ტატე დი-  
დი დასელოვნებული და ძარდი ბიჭი იყო.

ბავში ემდუროდან თავის ბედს, კმაყოფილი არ იყო, რადგან ზერანგს ამარა დატანტალებდა ქუჩაში და სანამ არ შეუკერავდენ კურტკას, ქუჩის ბიჭებში ითვლებოდა. ამას ორი მიზეზის გამო აკლდა კურტკა: ერთი რომ მოხუცებულებს შეძლება არა ჰქონდათ და მეორე—რომ ვეკლა ჰატარა ემაწვილები ზერანგს-ამარა დარბოდენ, თუძცა სადღესას-წაუღათ თითქმის ვეკლას ჰქონდათ კურტკები. ჩვენს ტატეს კი არც ბეცნაერ დღეებში ეღირსებოდა მისი ჩაცმა. სანამ ემაწვილი ძალიან ჰატარა იყო, კიდევ არაფერი, დიდხანს არაფრად აგდებდა ამას, დარბოდა და დასეირნობდა ზერანგს-ამარა. და ისეთივე ბედნიერი იყო, თითქოს ოქრო-ვერცხლში ჩაუსვამთო, მაგრამ გაიზარდა ტატე, გონებაში ჩავარდა და საქმე სსვანაირად წავიდა. ერთ კვირს დილას, როდესაც სოფლის ბავშვები მოგროვდენ წირვასე წასასვლელად ტატემაც მოინდომა წასვლა.

— შენ ვერ წასვალ, კენაცვალოს შენი ბებია!

— რატომ? ჰკითხა ტატემ.

— მიტომ, რომ კურტკა არა გაქვს.

ტატემ გაკვირვებით შესედა ბებიას.

— ჩემ კაბას ჩავაცმევდი, ჩემო თვალის ჩინო, მაგრამ ქალი რომ ეკონები? განავრძო ბებიამ.

— არა, მე კაცი ვარ! თქვა ტატემ და ამაყად გაიარა გამოიარა.

— ძარბთალი ხარ, უთხრა ბებიამ, ეოველთვის კაცი კაცად დარჩება, თუძც ერთი თითის ტოლაც იყოს და

რადგან როგორც კაცს შეეფერება, კურტკა არა გაქვს, ვერც წირვაზე წასვალ ჩემო ტატე და უნდა სასაღმრთაოში დარჩე.

ტატე დარჩა სასაღმრთაოში, მაგრამ ოჯახში ძალიან კიდევ ატედა კურტკის შესახებ ლაპარაკი.

ამ დროს სოფელში გამართეს დიდი ბანკოტი; ეკლესიის მხრიდან მოაწვდა ხალხი, თან მოჰყვა სხვა-და-სხვა დროს გასატარებელი: ცირკი, თოჯინების თეატრი და თვალთმაქცეები (ფოკუსნიკები). სოკი ამბოვანი მუქთადაც უშვებდნენ ხალხს საუბრებლათ, მეტადრე ემაწვილებს, რომ უფრო წაესაღონებიათ ვეგლანი.

რას არ უამბობდნენ ერთმანეთს ბატონო ბიჭები; ტატესაც მოუნდა საშინლად ნახვა, მაგრამ ასეც უთხრა ბებია: „არ შეიძლება“.

— რატომ? ჰკითხა ტატემ.

— იმიტომ, რომ სოფლის ვეგლან შეძლებული ხალხი იქ იქნება და შენ ჰერანგისმარა ვერ გაგიშვებო.

ტატე ჩაფიქრდა ცოტა ხანს: მაშ რა ქნას, არ უნდა ნახოს ეს საკვირველი ამბები, რომელსაც იმოდენას ლაპარაკობენ? და წამოიძახა:

— მაშ მათხოვე, ბებია, შენი კაბა.

— კარგი, ჩემო თვალის ჩინო, მოგცემ, უპასუხა ბებია სიცილით.

## II

— განა გოგოს ვეგლან, ბებიაჯან? — ჰკითხა ტატემ, რომელიც განვეულიყო ვეგლანების ჩითის კაბაში და გრძელ კუდს მიათრევდა.

— სულაც არა, ჩემო თვალის ჩინო! უთხრა გულკეთილმა ბებიაში, — შენ ვინც შეგხვდეს, ეველას უთხარი, რომ ბიჭი ხარ და არა გოგო.

— კარგი, აგრე ვიტყვი სოლმე, თქვა ტატემ და გასწია თოჯების თვატრისკენ.

გსახე შესვდა ერთი მესაფრი და ჰკითხს:

— ჰატარა ქალი, მითხარ, საით არის ბასრობა?

— მე ქალი არა ვარ, უთხრა ამჟათ ტატემ, მე კაცი ვარ.

— მართალს ამბობ? თქვა დაცინვით მესაფრმა, — აბა, მე რას მოვიფიქრებდი, რომ გოგო არა ხარ.

ტატე მივიდა თუ არა ბასროში, დაიწყო სმა-მადლს ევრილი ისე, რომ ეველას გაეგო:

— მართალია ჰატარა ქალს ვეფარ, მაგრამ კაცი ვარ, ნამდვილი კაცი ვარო.


ხალხმა დაიწყო სიცილი, დიდ-ძალი გოგო-ბიჭები მოესვიენ ტატეს, დასცეს კიეინა, ატყდა ერთი ღრიანცელი.

— ეს გოგო მარო ეოფილა! სად იმოვე, მარო, მაკისთანა შეენიერი ტანისამოსი.

— ეს ჩემი ბებოის კახაა. ვინცა გეონივართ, ის არა ვარ. რად ვიქნები მარო, მე ტატე ვარ, ჰატარა ტატე. განა ვეღარ მიცანით? მივდივარ თოჯების თვატრის სახასავად.

ერთმა ეველასე დიდმა და ცელქმა ბიჭმა თვალის დასამსახებასე შეისვა ტატე მხარსე და გააქანა თვატრისკენ. მათ ძალი ეეფით მიჰდევდა და ბიჭბუჭები სიცილათ, ერთი სტვირსაც უკრავდა.

— ვის უნდა მასხარის ნახვა? ვის უნდა ქალის კაბაში კაცის ნახვა?



ტატე გაბრუნდა, დაუწყო ბიჭს თმების კლეჯა.

მაგრამ თითქოს არაფერიყო, ბიჭი მაინც თავისას გაიდასოდა:

— ვის უნდა კაცის ნახვა ქალის კაბაში? ვის უნდა მასხარის ნახვა.

მთელი მოედანი ასე შემოარბენინა ტატეს ამ ბიჭმა და მისი ტირილი და ვერილი სად არ გაისმოდა. ბოლოს ბორცუტი ბავში მოიღალა და ტატე ჩამოსვა ძირს. საბრალლო ბავშმა მოჰკურცხლა შინისკენ. კაბა ფეხებში ებლანდებოდა, წამის-წამს წაიქცეოდა და რის ვაი-ვაგლასით თავის ქონამდის მიაღწია.

— გამძაბრე საჩქაროდ ეს კაბა, თქვა ტირილით ტატემ და კალთაში ჩაუვარდა ბებიას. — მოძამორე ბებია ეს კაბა, თვალთ ალარ მახვენო. მაგას ალარ ჩავიცვამ. მე გოგო არა ვარ.

— ნუ ტირი, ჩემო თვალის ჩინო, უთხრა ალერსით ბებიამ და უწმენდდა ცრემლებს. — როდესაც გაისდები, სომ ნახვენ რა კაი კაცი დადგები,


— ნუ ტირი, ნუ ტირი, აგრემც კენაცვალოს ჰანა შენი. უთხრა ასლა ჰანამ — დაჩუმიდი. მეორეთ რომ მოინდომებ მაგისტანა ადგილას წასვლას, მაშინ მე ჩემ ტანისამოსს გათხოვებ.

ამ მოხუცებულებს ეს ერთად-ერთი თავიანთი ნუგეში ტატე ისე უეწარდათ, რომ ნაღვლათ ჰქონდათ, როდესაც სურვილს ვერ აუსრულებდენ და რომ შეძლებოდათ, სულ სავერდში და ოქრომკედლებში ჩასვამდენ.

ბებიამ მისცა ტატეს ერთი დიდი ნაჭერი ჰური კარბე წასმული, კემრიელმა ლუკმამ დაავიწვა ემაწვილს ევლა ნაღველი.

### III

ჰატარო ხანს შემდეგ ქონში ატედა კიდევ დავიდარბა. ჰარა გზასე დიდი კორიანტელი იყო ხალხის მისვლა-



მოსვლით. ელოდებოდენ. დიდ-კაცს, გუბერნატორს და რამდენ საკვირველ ამბებს ამბობდენ იმ კაცსე.

— თურმე ოქროს ეტლით დაიარება და შიგ თორმეტი ცხენი უბია, ამბობდა ერთი.

— თავით ფესამდის ვერცხლშია ჩასმულიო, — ამბობდა მეორე. — გვირგვინი თვალ-მარგალიტით აქვს შეჭედებულიო. — უმატებდა მესამე.

ვევლა თავისებურად ამბობდა გაცონილს და ბევრს თითონაც უმატებდენ, როგორც ჭკუა უჭრიდათ.

ზატარა ბიჭებიც თავისებურათ მიეკებენ ამ ამბავს. იმათ წარმოიდგინეს, რომ ეს ვიღაც დიდი კაცი, ეს თავადი, თუ თვით ხელმწიფე, მოიტანს ემაწვილებისთვის აუარებელ სათამაშოებს, ტებილეულობას და გზა-გზა დაურიგებს ვეულას.

ამ ლაზარაკმა ტატეს უჭრამდინაც მოაღწია. იმანაც მოინდომა ამ დიდი კაცის ნახვა. ემაწვილმა კარგათ იცოდა, მოსუცებულებს ისე უეჯარდათ, რომ არაფერში უარს არ ეტეოდენ და უთხრა: — მე უნდა წავიდე მაკ დიდი კაცის სანახავად. ამაზე ბებიამ სუძრობით ჰკითხა:

— მერე რას ჩაიცვამ, ბიჭო, აგრე ზერანკსამარა სომ არ წახვალ. გინდა, კიდევ გათხოვო ჩემი კაბა?

— არ მინდა შენი კაბა, შეჭვირიო ტატემ და ჭარხალივით გაწითლდა. -- ქალის კაბას მე ჩემ დღეში აღარ ჩავიცვამ. ზაზა მომცემს თავის მუნდირს.

— ამიუვანე, ჩემო თვალის ჩინო, ჩარდასში, ვიპოვოთ მუნდირი, იქნება გამოგადგეს, — უთხრა ზაზამ.

ტატეს სინარულს სასდვარნი აღარ ჰქონდა, ჩიტვიით მიფრინავდა ვიწრო ჩარდასის კაბესე — და საბრალე უსი-



ნათლო ძლიერ-ძლიობით მიდევდა. მივიდენ დიდ სკივრთან, რომელიც გატენილი იყო ძველის ძველებით და კუთხე-ში მიდგმული იყო. ტატე ყოველთვის მოწიწებით შეჭ-ცქეროდა შორიდან ამ სკრივს, როდესაც ავიდოდა სანა-სავაზდ—მანემ დაიჭირა თავი თუ არა.

მოხუცმა ახადა სკივრს თუ არა ტატემ თვალი შეას-წრო სძალს ბრჭყვიალა ქარქაშით...

— ეს მე, ჰანავ!—შეჭყვირა ემაწვილმა.

— გქონდეს ხელში, გენაცვალოს ჰანა, სანამ მე მუ-ნდირს ვიპოვიდე— და დაიწყო ხელების ფათური სკივრში.

ტატემ აიღო ხელში - სძალი, რომელსაც სიმძიმით ძლივს იკავებდა.

ჰანა მივალერსა და უთხრა:

— შენ რომ დიდი განდები, იქნება ეს სძალი მაშინ გამოგადგეს, სამძობლონთვის რომ იბრძოლებ.

— მაშ, მე მტრებს ვეკლას თავს მოვჭრი. თქვა ტა-ტემ.

— თუ მტერი ბევრი არ იქნება, განა? უთხრა სიცი-ლით ჰანამ.

— იმათაც მოვჭრი თავს, მკლებსაც, მაიმუნებსაც, ჭი-ნჭარსაც, რომელიც წვამს ბებიას ხელებს, როდესაც ის ცოცხებს ჰკრავს მინდორში... ვეკლას თავს მოვჭრი, ვინც გააჯავრებს ან ჩემ ბებიას და ან ჩემ ჰანას. იმათაც თავს მოვჭრი, ვინც მე გოგოს დაძიმასებს.

— არ ივარგებს, რომ მაგისტანა ბოროტი იყო, უთხრა სიცილით მოხუცმა და თან ხელებს ურევდა სკრივში.— მაშ, ეს ეს არი მუნდირი უნდა ვიპოვოთ.

— დიაღ, ჰანავ, მუნდირთან ქუდიც იქნება.

— კიდევ რას მიბძანებ, ჩემო ბატონო.— უთხრა სუპრობით მოსუცმა.

— აღარაფერს, ჰანაჯან, უპასუხა სიცლით ტატემ.

— ერთი ჰირობით მოკცემ ვეკლაფერს, რომ ჩვენ ქონის კარებს არ გაცილდე. აქედანაც კარგა ნახავ იმ დიდ კაცის გავლას.

ტატემ სიტყვა მისცა.

#### IV

როგორც რომ ესენი ჩაბდასიდან ჩამოვიდენ, შამოქსმათ ქუხიდან დიდი ღრიანცელი. ცხენოსნები წინ წამოხულიყვენ, რომ სოფელს აცნობონ გუბერნატორის მოსვლა, ხალხი გამოეყინა დასახვედრად.

— გზა, გზა, არ გესმით. დადექით ან მარჯვნივ, ან მარცხნივ. აი, მობძანდება კიდევ. მიიწიეთ, გზა გააფართოვეთ. მობძანდა მისი უდიდესობა.

ვეკლა ცდილობდა აესრულებინა ცხენოსნების ბძანება და ამასთანავე ვეკლას უნდოდა კიდევ ამ დიდებული ღირის ნახვა... ზოგი ძაღლობ ადგილებისკენ მიეშურებოდა, ზოგი ღობეებსე ადიოდა და ზოგი სეებსე აცოცდებოდა.

ჩვენი მოსუცებულების ქონშიაც დიდი სამზადისი იყო. ბებია და ჰანა რთავდენ თავიანთ შვილიშვილს. მუნდირის შალვარნი ნაცრის ფერი იყო ლურჯი კანტებით მორთული და ისეთი განიერი და კმელი გამოდგა, რომ ტატე თითო ტოტში ადვილად გაიმართებოდა. რაც შეესება თითონ მუნდირს, სწორეთ იტეოდით დევის სკაპდრისაო და როცა ტატემ ჩაიცვა შიკ აღარ ჩანდა.



— ბავში ველარ დამკრის, წამოიძახა ბებია და თან შალვრის ტოტებს და მუნდირის სასელოებს უკეცავდა და ქინძისთავებით უმაგრებდა.

ტატეს ისე უნაროდა მუნდირის ჩაცმა, რომ იმაზე აღარას ნაღვლობდა, ფეხი რომ ველარ გადადგა. ემაწვილს თავზე დასურეს ჯარის კაცის ქუდი, ისეთი გმელ ბუმბულიანი, რომ ეს ბუმბული ბეჭებამდის წვდებოდა და სასელომ სულ აღარ უხანდა. წელზე შემთარტყეს სმალი, რომელიც მითრეკდა უკან. ასე შეიარაღდა ჩვენი რაინდი.

მგონი, არც ერთ ომში გამარჯვებული მეომარი ასე ამაყად არ გაივლ-გამოივლიდა, როგორც ახლა ტატე დადიოდა ჯარის ტანისამოსში გამოწეობილი. მაგრამ ვინ ამ სიარულს, თითონ კი აღარ ხანდა. თვესი რომ წყალში მიიძალეზა, ისე ტატე იყო ჩამძვრალი ამ მორთულობაში. თითონ ბებიაც და ჰანაც ძლავს სედავდენ ემაწვილის ლურჯ თვალებს, წითელ ლოყებს და აბსეკილ ცხვირს. ჰანამ ორჯელ-სამჯერ მიატრიალ-მოატრიალა ბავში. მოსუცებულებს დიდი ხანი იყო ასე გულიანად არ გაცინებოდათ. გავიდა თუ არა ტატე ქუჩაში, ქინძისთავები ამოვარდა და სასელოები და შალვრის ტოტები ჩამოეძალა და მითრეკდა. რომ დადიოდა სმალს ჩსარუნი გაჭქონდა ქუჩის ქვებზე. ქუდი სიმძიმით ხან მარჯვნივ და ხან მარცხნივ ლამობდა გადმოვარდნას და რაღაც სასწაული იმაგრებდა.

ასე მორთული მიდიოდა ტატე შარა გსაზე და უნდოდა სადმე მაღლობ ადგილს დამდგარიყო და იქიდან ეყურებინა თამაშისთვის

— ვინ არის ეს მასხარა, რომელსაც ჩაუცვამს ვიქორგის ზოლკის მუნდირი. — იკითხა გუბერნატორმა და

კაიშვირმა თითი ტატესე, რომელიც გამოჭიმულიყო თვალ-  
სახინო ადგილსე, ხელი მიედო ქუდსე და ჯარის კა-  
ცივით სალამს აძლევდა მის უდიდესობას. გუბერნა-




ტორის გულიანი სიცილით ეტლი ირეეოდა. ამ დროს  
გუბერნატორს მიუახლოვდა ადგილობრივი უფროსი და  
ამან აუხსნა, რომ ეს ობოლი ერთი უსინათლო ჯარის  
კაცის მათე ჭიკოს შვილიშვილია.

ეს მოხელე დაცინვით იხსენიებდა ამ ემაწვილს და  
ეგონა, რომ ამითი ასინამოვნებს მის უდიდესობას. ის  
კი არა, რომ გუბერნატორი ამ სახელის გაკონებასე შე-  
კრთა, მაშინვე შეაუენებინა ეტლი, ჩამოვიდა და გაეშურა  
მოხუცებულის ქონისკენ.

ბებია ადელდა ამ დიდი კაცის მისვლით, უსინათლოდ  
კი, იქნება მიტომ რომ არა ხედავდა, დამშვიდებით მიი-  
წვია.

— კეთილი იეოს ჩემი აქ მოხვლა, მოხუცებულნო!  
და ხელი ჩამოართვა ორივეს. — მკონი, მე გიცნობ შენ,  
მოხუცებულო, შენ ის მათე ჭიკო არა ხარ, ჩემ ოც-და-  
მეცხრამეტე ნომრის ჰოლკში რომ მსახურობდი?

მონუცებულმა იცნო თავისი უფროსი და შეჰყვირა:  
— ღენერალო!



— მართალია ასლა ღენერალი ვარ. — მაშინ კი უბრა-  
ლო კანკანნი ვიყავი. რა მისარია, დემერთმა რომ შენი  
თავი მანოვნინა. არ გასსოვს, ბრძოლის ველზე დაჭრილი  
რომ ვეკდე, იქ უთუოდ ან მოჰკვდებოდი და ან მტრის  
ხელში ჩაგარდებოდი და შენ მსრებსე შემიდევი და წამო-  
მიდე. იქნება შენ დაგავიწყდა რომ სიკვდილს გადამარჩი-  
ნე, მაგრამ მე კი მას უკან სულ დაგეძებდი და რომ ვერ  
გიპოვე მკვდარი შეგონე. ასლა რაკი გიპოვე აღარა გა-  
გიჭირდება რა, არც თქვენ და არც თქვენ ყოჩად შეი-  
ლიძვილს.

მერე სტაცა ტატეს ხელი და ისე მაგრამ გადაკოცნა,

რომ ემაწვილს ქუდი ძირს ჩამოუვარდა და გამოხნდა მისი სუჭუჭი თმები.

— დამანებე თავი, რას ჩადისარ, ქუდი სომ გადამიგდე! ჰაჰაჰეი არ დაგიძაღლებს. და ემაწვილი ცდილობდა გამოსსლტოდა ხელიდან.

— ჩუ... ჩუ... ბებია გენაცვალოს, არ შედავ ვის ელაზარაკები.

მერე მიუბრუნდა მოხუცებული დედაკაცი კუბერნატორს და უთხრა:

— ემაწვილია, ახატეთ, უცსოობს სალსს.

— არაფერია. მე ემაწვილები ძალიან მიუვარს, მეტადრე ცოცხალი ბავშვები. მერე მიუბრუნდა ტატეს და უთხრა:

— გინდა ჯარის კაცი გამოხვიდე, როგორც ჰაჰა შენი?

— ჰაჰა კიდევ დამპირდა და ის რაკი ერთსეულ იტევის რასმე, აასრულებს კიდევ...

— მამ ყოჩადი გამოხვალ?

— თუ კი მუნდირს ჩამაცმევენ, ყოველთვის ყოჩადი ვიქნები და ქალის კაბას კი აღარაოდეს აღარ ჩავიცვამ.

აქ მოხუცებულებმა უამბეს ღენერალს ტატეს თავგადანსავალი, ქალის კაბა რომ ჩავიცვა, როგორ ყველამ მასხარად აიგდო.

ღენერალმაც ბევრი იცინა და მერე უთხრა:

— შენ უთუოდ ჯარის კაცი უნდა გამოხვიდე, ბავშო, სანამ მე ჩემთან წავიყვან, ყოველ დღე სილს და ტკბილეულობას გაჭმევ: ქაღებს, კანფეტებს და სს. სომ წამოხვალ ჩემთან?

— ცხენსაც მივიდი?



— რასაკვირველია.

ტატე ჩაფიქრდა. ხან ამ უცხო კაცს უეურებდა და ხან თავის ბებიას და ჰანას. მერე მუხლებში ჩაუვარდა ჰანას და უთხრა:


— არა, მე იმას არ წაუვუები. მინდა თქვენთან დავრჩე.

— აბა, ჩემო თვალის ჩინო, ჩვენთან რომ დარჩე, სმელ ჰურსე იქნები. სედავ რა შაქრის ჰურებს კვირდება! ცხენიც კეულობა.

— მე მანც მიჩვენია ბებიასთან და ჰანასთან დარჩენა, თუნდ ცარიელ ჰურსე. მე თქვენ ვერ მოკმობრდებით.

— შენ კაი ემაწვილი ეოფილხარ, ჩემო ტატე. მოსუცებულების დატოვება ცოდოა. მე ეველას ხელს გაკიძართავთ და როდესაც საჭირო იქნება სამშობლოსთვის შენი თავი, მაშინ შენ თითონ წახვალ, ხანამ ნუგეში ეცი მოსუცებულებს. საღვთო წერილი ამბობს: „რომ ვინც ეევარება მშობლები, იმას ღმერთი დღეგრძელობას მისცემს“.

— ბებიაც მაგას გვიკითხავს სოღმე კვირობით. — წამოიძახა ტატემ.





ო რ ი თ ბ ო ლ ი



რ თბოლს ვხედავ მუდამ დღე  
ხელი ხელს გადახვეულებს,  
ყელ-მოღერებულ მაღხაზებს  
მარგალიტივით რჩეულებს.

ერთს ახსოვს დედის ალერსი,  
მხოლოდ მეორეს კი არა,  
და გულზე აწევს ეს სევდათ,  
როგორც წულთული და იარა.

ძმას ეკითხება,—მითხარი,  
მიაშე ყველა სრულადა:  
რამ მოუტსწრაფა სიცოცხლე  
დეღაჩვენს ადრეულადა?

—მამის თავლია ცხოვრებამ,  
მამის თუჯიშო ქცევამა,  
ძისმა შინ დღისით არ ყოფნამ  
და გარეთ ლამის თევამა.

სად დადიოდა? ვინ იცის,  
ერთ ალაგს არა დგებოდა:

მიდევდა ქეიფს, ღვინის სმას,  
 თვეობით იკარგებოდა.

აქა-იქ დროს გასატარებლად  
 ფულს არ იღოევდა ჯიბეში;  
 მე და დედა კი მუდამ დღე  
 ვიყავით სიღარიბეში.

სად იყო ჩვენთვის სადილი,  
 ან დროზე ძილი ღამითა;  
 საბრალო დედა, ზეზელა  
 თვალს ატყუებდა წამითა!

მახსოვს, როდესაც ლოდინით  
 მოღლილი ჩაიძინებდა,  
 ძილში მორთავდა ლაპარაკს  
 და მწარედ გაიცინებდა.

სულ ჩვენზე ლაპარაკობდა  
 და აყვედრიდა მამასა,  
 რომ ყურს არ უგდებს შვილებსა  
 და მიდევს სმასა და ჭამასა.

შენ მაშინ ძუძუთ იყავი,  
 ჯერ ფეხზე ვერც კი დგებოდი,  
 თუ რომ გსმენოდა ყველა ეს  
 შენც ცრემლად დაიღვრებოდი.



ცრემლმა დალია დედაცა,  
 კვლავ უფრო დადარდიანდა,  
 ჩამოდნა როგორც სანთელი  
 და გული დაუზიანდა.

მოკვდა და ობლად დაგვეტოვა,  
 პატრონად დაგვრჩა ბებია...  
 დედა იქ ასაფლავია,  
 აჲ, იქ რომ დიდი ქვებია.

უ. მღვიმელი



## დედამიწის გულის ამბავი

(ნ. შვედოვისა).



აშო და ნიკო ევროპის ქარტის შედგენიას თამაშობდენ. ნიკო რომ რომელსამე ნაცნობ ქვეყანას იპოვნიდა, ცდილობდა ეამბნა თავის დისათვის ყველაფერი, რაც კი რამ ამ ქვეყანაზე დედისაგან გაგონილი ჰქონდა.

აგერ თითქმის მთელი ქარტა პაწია ნახატების ნაჭრებისაგან კიდევ ააწყვეს. ყმაწვილები შეჩერდენ იტალიის ქარტაზე და ყურადღებით შინჯაედენ მის მთებს. ამ მთებზე ყმაწვილებისათვის დედას ჯერ არაფერი ეამბნა.

დიდი ხნის სიჩუმეს შემდეგ მაშომ შენიშნა, რომ ერთ ადგილას ქარტაზე ეწერა: „ვეზუვი“; მიუბრუნდა დედას და ჰკითხა:

— დედა, რა უნდა იყოს ნეტა ეს „ვეზუვი“? დედა-ქალაქი ხომ არ არის?

— არა, ჩემო ძვირფასო, ვეზუვი დედა-ქალა-

ქი კი არ არის, მთა არის და შესანიშნავი მთაცაა.

— მითხარი, გენაცვა, დედა, რისთვის არსებობენ ქვეყანაზე მთები, რა სარგებლობა მოაქვთ და ან რით არიან მთები შესანიშნავი?

— ყველა მთა, ჩემო კარგო, არ არის ადამიანისთვის სასარგებლო, მაგრამ ბევრი მათგანი რითიმე შესანიშნავია; ზოგს მთაში ადამიანი პოულობს ძვირუფას ქვებს, ოქროს, ვერცხლს და სხვა ლითონებს; ზოგიდან ჩამოჩხრიალებს ცივი და ცხელი წყალი, რომელშიაც იმყოფება სხვა-და-სხვა ნაირი ნივთიერება, როგორც, მაგალითად, ბორაკი, რკინა, გოგირდი და სხ. ამისთანა წყლებს ქვია მადნის წყაროები, რომელთაგან ზოგი უხდება და არჩენს სხვა-და-სხვა სენით ავადმყოფებს და ამისთვის ასეთს წყაროებს სამკურნალო წყლებს ეძახიან.

ზოგი მთები ზამთარში თოვლისაგან ველებს იფარავენ; უმთოთ ველები უშველებელი თოვლით იქნებოდნენ დაფარულნი. ზაფხულში ეს მთის თოვლი ნელ-ნელა დნება, წყლად იქცევა და აჩენს პატარ-პატარა ნაკადულებს, ეს ნაკადულები შემდეგ ჩამორბიან ველებზე, აქ ერთმანეთს უერთდებიან და აკეთებენ ხეეებს და მდინარეებს. ხეეები და მდინარეები ხომ მიუცილებლად საჭირონი არიან მცენარეებისა და ცხოველებისათვის. ზოგი მთა კიდევ იფარავს ქვეყანას მეტად ცივის, ან ცხელის ქარისაგან. აი, ამისთანა მთები ყველა სასარგებლონი არიან, მაგრამ ქვეყანაზე არსებობენ ისეთი მთებიც, რომ მარტო ზარალი მოაქვთ ქვეყნისათვის. ამ გვარის მთების რიცხვს ეკუთვნის ეს ვეზუფიკა.

— ახლა მესმის, რომ მთები ადამიანისთვის სასარგებლონი ყოფილან, მაგრამ ეს კი ვერ გამოვიცა, რა ნაირათ შეიძლება, რომ მთა ადამიანისთვის მავნებელი იყოს! — თქვა მაშომ. — მთას, აბა, რით შეუძლია ავნოს? დვას თავისთვის არხეინად და ვის რას უშლის.

— საქმეც ეგაა, ჩემო კარგო, უპასუხა დედამ, რომ იმისთანა მთები, როგორიც ვეზუფია, არხეინად არა დგანან, პირ იქით ხშირად ისეთს ძლიერ მოძრაობაში მოვლენ ხოლმე, რომ თავის გარშემო ასსა და უფრო მეტს ვერსზე მთელს დედამიწას ანძრევენ.

— იქნება მიწის ძვრა ამ მიზეზებისა გამო ხდებოდეს? ჰკითხა ნიკომ.

— სწორეთ ამ მიზეზებისა გამო; ისიც ხომ იცოთ, რომ მიწის ძვრა ქვეყანას დიდს უბედურებას დამართებს ხოლმე: სახლებს ანგრევს, ხალხს ხოცავს და სხ.

— მთები რალა მიზეზის გამო ინძრევიან? იკითხა მაშომ.

— ეს, აი, როგორ ხდება: დედამიწის შუაგულში ისე არა ცივა, როგორც მის ზედაპირზე, სადაც ჩვენ ვცხოვრობთ. ღრმა ქა-

რომ ამოეთხაროთ, შეენიშნაეთ, რომ ჰის ფსკერზე უფრო თბილა, ვიდრე ზევით.

— ამას ძნელს დასაჯერებელს მშბავს გვეუბნები, დედა, მე კარგათ ვიცი, რომ ჰიდან ამოდებული წყალი გაცილებით ცივია ჩვენს ოთახში შენახულ წყალზე.

— შენ, დედა, მგონია, ხუმრობით გვეუბნები, ვითომც დედა-მიწის სიღრმეში უფრო თბი ჰოდეს, ვიდრე მის ზედა პირზე. უთხრა ახლა ნიკომ: — მეც კარგათ მახსოვს, ერთხელ მამაჩემმა რომ ღვინის სარდაფში შემიყვანა; იქ ისე ცავოდა, რომ კბილებმა სულ კაწ-კაწი დამიწყეს იმ სარდაფში მრავალი ღვინით საესე ბოჭკებიც ენახე; მამამ მითხრა, რომ აქ ღვინობს მიტომ ინახვენ, რომ ზევით თბილა და ეს სითბო ღვინოს ახდენსო.

— მე ვხედავ, რომ თქვენთან მოკლე პასუხებით ვერაფერს გავაწყობ; მაშ ყური დამიგდეთ, მე ყველაფერს დაწვრილებით ავიხსნით. თქვენ რომ წელან სარდაფები და ჰები დამისახელოეთ, ისინი სრულიადაც ღრმანი არ არიან; მაგათ, ბევრი, ბევრი, ათი-ხუთმეტე საყენი სიღრმე ჰქონდეთ. ამგვარ ჰების ფსკერზე მიტომ ცივა, რომ მზის სითბო ვერ წვდება მათ სიღრმემდის; შეიძლება კაცმა უფრო ღრმა ჰა ამოთხაროს. მაგ. პარიზში ამოთხარეს 240 საყენი სიღრმე ჰა; როგორც ხედავთ, თითქმის ნახევარი ვერსია; პრუსიაში ჰას 300 საყენი აქეს სიღრმე. აი, ამისთანა ჰებიდან ამოჩქეჯს ისეთი ცხელი წყალი, რომ დიდხანს თითს ვერ გააჩერებ შიგ. რაც ქვევით და ქვევით წახვალ, იმდენად უფრო ცხელს წყალს ნახავ. სამი ვერსის სიღრმეზე ისე ცხელა. რომ წყალი აღუღდება და 30 ან 40 ვერსის სიღრმეზე რომ ვისმე ჰა ამოეთხარა, იქ ისეთს სიცხეს ნახავდა, რომ ეს სიცხე დააღნობდა ყველაფერს: რკინას, თუჯს, და ასე იფიქრეთ, ქვებსაც კი; ხომ მიხვდით, რა სიღრმეზე ყოფილა დიდი სიცხე? ახლა ადვილად, წარმოადგენთ, თუ სად უფრო ცივა: ჰებსა და სარდაფებში, თუ დედამიწის ზედა პირზე.

— თუ კი ამ სიღრმეზე ასე ცხელა, როგორც შენ ამბობ, მაშ წყალს იქ რა აჩერებს? ჰკითხა ნიკომ. — მე ხმ-რათ მინახავს, როცა ჩვენი ძიძა გავარჯარებულს პლიტაზე წყალს დაასხამს, წყალი დღღს და შიშინით აქეთ-იქით იფანტება.

— დედა-მიწის შუა-გულშიაც სწორეთ ისა ხდება, რაც გახურობულ პლიტაზე წყალს ემართება. როცა წყალი უწევს მიწაში იმ სიღრმემდის, სადაც ლითონები და ქვები გამდნარია, მაშინ ის წყა-

ლი უცებ ორთქლად იქცევა, ამოხეთქს მიწას ზევით და აქეთ-იქით იფანტება.

ამ გვარად ჩნდებიან ცხელი წყლის შადრევანები. ისლანდიის კუნძულზე ამისთანა შადრევანი ბევრია; ყველაზე უდიდესს შადრევანს ჰეიზერი ჰქვია. ეს შადრევანი ამოჩქეფს პატარა აუზიდან. ეს აუზი იმყოფება დაბალის ბორცვის მწვერვალზე. აუზს 30 საყენი სიგანე და ერთი საყენი სიღრმე აქვს. მის შუა გულზე იმყოფება ორმო, ანუ ჭა სიგანით ოთხი არშინი და სიღრმით 30 საყენი.

უმეტესი ნაწილი, როგორც აუზსა, ისე ჭისა საესეა მომწვანო ანკარა წყლით; ეს წყალი ჩვეულებრივ დროს არ ამოქუხს ზევით, დაწყნარებული დგას აუზში. მაგრამ აგერ უცბათ მოისმა ქვესკნელიდან ქუხილი, გამაჩნდნენ წყლის ზედა პირზე მსხვილ-მსხვილი ბუშტები, რომლებიც სკდებიან და ისვრიან წყალს ზევით რამდენსამე არშინზე.

ამას შემდეგ რამდენიმე ხნით ყველაფერი წყნარდება; მაგრამ საათ ნახევარ შემდეგ ქვესკნელიდან ისმის ხელ-ახლათ გუგუნის და წყლის ზედა პირზე ჩნდებიან ბუშტები. წყალი აუზში სულ ზევით და ზევით იწევს. ამ დროს უცებ შუა აუზიდან ამოიჩუჩჩუხებს მღულარე წყლის ჭეველი და, როცა ორმოც არშინის სამალღეზე მიაღწევს, იფანტება ისეთს თეთრ მტვერათ, რომ ადამიანი თვალს ვერ გაუშტერებს. პირველ ჭეველს მოჰყვება ხოლმე მეორე, მეორეს მესამე და ამ გვარად წყალი სულ ზევით და ზევით ამოდის, ხანდისხან ამ წყალს ქვებიც ამოჰყვება ხოლმე. მღულარე ჭეველის გარშემო იკრიბება ჰაერში დიდძალი ორთქლის ღრუბლები.

ამ გვარი მოქმედება ჰეიზერისა დიდხანს არ გაატანს ხოლმე — სულ რამოდენიმე წამი გრძელდება. უკანასკნელს ჭეველს შემდეგ, მთელის აუზის წყალი ისევ ჭაში ჩადის და რამდენიმე ხანი აუზი სრულად მშრალი რჩება. ჰეიზერის ხელ-მეორეთ მოქმედება იწყება ხუთ-ექვს საათს შემდეგ. თუ ორთქლის გამოსავალი გზა არა აქვს დედამიწის შუა-გულიდან, მაშინ ის ისეთი ძალით აწევება დედა-მიწას, რომ ანძრევს მას და ზევით ეწევა. ხან-და-ხან კი ეს ორთქლი მიწას არღევს და ზევით ამოხეთქს. აი, ეს ორთქლით აწეული მიწა შეადგენს მთელ მთას, რომელსაც მწვერვალზე დიდი და ღრმა მილი უკეთდება. ამ მილიდან ამოდის ორთქლი და სიცხ-საგან დამნარი ნივთიერებანი. ეს დამნარი ნივთიერებანი შემდეგ ციფდებან, მაგრდებიან და თანდათან აღიდებენ ამ მთის სიმაღლეს. ამ

გვარ მთებს ეძახიან ცეცხლ-მქშინავს მთებს, ანუ ვულკანებს; ხოლო დამდნარს ნიეთიერებას უწოდებენ ლავად, ანუ მიწის ნადუღად.

### ჰეიზერი ამოხმთქის ღრმს.

ამისთანა მთების რაცხვს ეკუთვნის ვეზუვიც.

დიდრონი ცეცხლ-მქშინავი მთები განუწყვეტლივ ბოლავენ, ე. ი. იმათის მწვერვალიდან ორთქლის სვეტები ამოდინან; ხანდახან კი ეს მთები უფრო ძლიერათ მოქმედებენ და ამ ძლიერ მოქმედებას ეძახიან ამოხმთქას. მთის მწვერვალზე იმყოფება ორმოსავით ჩაღრმავებული ადგილი, რომელსაც კრატერს ეძახიან. კრატერში ყოველთვის შენიშნავ გალხვალ მიწის ნადულს. ამოხმთქის წინათ მიწის ნადულის პირზე ბუშტებს შენიშნავ; კრატერის სიღრმიდან ამოსულის ორთქლისაგან ბუშტები იბერებიან და შემდეგ ისეთი ძალით სქდებიან, რომ გეგონებათ ზარბაზნებს ისერიანო. შემდეგ მიწის ნადული ზევ-ზევით იწევს. ორთქლის სვეტი თანდათან მსხვილდება და რადგან იგი დიდს სიმაღლეზე მიდის და ქვევიდან განათებულია გავარვარებული მიწის ნადულისაგან, ამიტომ ადამიანს ეს ორთქლის სვეტი ისე ეჩვენება, თითქოს მთიდან ცეცხლის სვეტი ამოდიოდეს. როდესაც ორთქლი დიდს სიმაღლეზე აიწევს, იგი გადაიქცევა ღრუბლათ, საიდანაც ჩნდება წვიმა, ელვა და საშინელი ჭექა-ქუხილი. ეს ჭექა-ქუხილი და მიწის ნადულის ბუშტების ხეთქა საზარელს ხმაურობას წარმოადგენს. ორთქლს კრატერიდან უზარ-მაზარი ქვები ამოჰყვება ხოლმე, დიდრონ ქვებს მოდევნ წვრილი ქვები და ბოლოს, რამდენსამე ხანს შემდეგ ამოიფანტება სილა.

თუ ეს სილა ნამეტანი წმინდაა იგი იწოდება ეულკანურ ღველფად, ანუ ეულკანის ფერფლად.

კრატერიდან ამოსული ღველფი და ორთქლი დიდს სიმაღლეზე, თითქმის სამ ვერსზე მალლა უწევნ, ჰაერში დიდ მანძილზე იფანტებიან და მზეს აბნელებენ. ეს ღველფი, ზევიდან რომ ქვევით ბრუნდება, ჰაერში წვიმასა ხვდება და სველდება. დასველებული ღველფი ტალახის მსგავსად ეულკანის მახლობლად ჩამოდის იმ გვარად, რომ კაცს ეგონება ციდან ტალახი წვიმსო. ეს უშველებელი ტალახი მთიდან მომდინარეობს ვაკისაკენ და მთელს ქალაქებს და სოფლებს ჩანთქავს ხოლმე. ამ გვარად 1826 წლის წინათ ჩინთქა იტალიის

ორი ქალაქი: გერკულანუმი და პომპეია, რომელნიც გაშენებულნი იყვენ ვეზუვის მახლობლად.

შემდეგ იწყება მიწის ნადულის ამოდენა. კრატერიდან მიწის ნადული ფაფასავით სულ ზევ-ზევით იწევს და როცა კრატერის ნაპირებს აცილდება, გაღმოდის მთის გვერდებზე და მიმდინარეობს ვაკეებისკენ. ამ მომდინარე მიწის ნადულს სწორეთ ცეცხლის მდინარის სახე აქვს. თუ ამისთანა მდინარეს ხეები ან სახლები გადაელობა წინ, ცეცხლს უკიდებს და ჰბუვავს. იგი ისეთი საოცარი ცხელია, რომ ლითონებს აღნობს.

ამ ნადულის ზედა პირი მალე ნელდება, მაგრას მისი შუაგული კიდევ დიდხანს ინახავს სიცხეს და რჩება ასე ვალხვალი კარგა ხანს.

რადგან ეს ცეცხლის მდინარე ჩქარა არ მომდინარეობს, ამიტომ ადამიანისთვის იგი მაგდენად საშიში არ არის: ადამიანი ადვილად მოერიდება მას და თავს მალე უშველის. საშინელი თავზარდამცემი თითონ მიწის ძვრას, რომელიც მთის ამოხეთქის წინ მოხდება ხოლმე. მთელი ქალაქები და სოფლები ამ მიწის ძვრას შეუძლია დაღუპოს.

— თუ კი ამისთანა მთების ახლო ცხოვრება ასე საშიშია, მაშ რატომ ადამიანი არ მოშორდება მათ და შორს არა ცხოვრობს? რისთვის აშენებს ამისთანა მთების ახლოს ქალაქებსა და სოფლებს? ჰკითხა მაშომ.

— ამიტომ, რომ ნიადაგი ამისთანა მთების ახლო ძალიან ნაყოფიერია, მაგალითად, ვეზუვის მახლობლად კარგად ხარობს ვაზი და სხვა სასარგებლო მცენარეები. ეულკანიური ამ.ხნეთქა ხშირად არა ხდება, და ვინც ამისთანა მთების ახლო იშენებს სახლ-კარსა, ფიქრობს, რომ რაკი ეულკანმა ერთხელ ამოხეთქა და ახლო-მახლო ადგილები დაღუპა, მეორედ და მესამეთ მაინც აღარ მოხდება ეს უბედურებაო.

— მე არ მესმის, რატომ ადამიანი არ ცდილობს, რომ როგორმე მოსპოს ამისთანა მთა, ან გაივკოს იგი? ჰკითხა ნიკომ.

— ეს შეუძლებელი საქმეა, შეილო, უთხრა დედამ: ვეზუვი ისე დიდია, რომ მახლობელ მცხოვრებლებს რამდენიმე ასი წელიწადი დაჭირდებოდათ, რომ ის გავაკებინათ. ირგვლივ ვეზუვი რამდენიმე ვერსია და ამასთან ისეთი მაღალია, რომ რამოდენიმე საათი მოუნდება ადამიანს მის მწვერვალს მიაღწიოს. ან კი რა სარგებლო-

ბა იქნებოდა, რომ ადამიანს გავეკებინა იგი? ლავა (მიწის ნადული) მაინც თავისას არ დაიშლიდა, ორთქლი და ღველფი ისევ ისე ამოსქდებოდნ და გაცივებულის ლავისა და ღველფისაგან ისევ მალე გაჩნდებოდა იმოდენივე მთა. საკმარისია, ერთხელ ძლიერად ამოსქდეს კრატერიდან მიწის ნადული და ღველფი, რომ გააჩინოს 70 საყენი სიმაღლე მთა. ამიტომ სულ ტყუილად და უსარგებლოდ ჩაუვლიდა ადამიანს ამ გვარი შრომა.

— მაშ რაკი ასე ყოფილა, იცი, დედა, რას ვიზამდი? სულ მიწითა და ქვით ამოვავსებდი იმ წყეულ კრატერს; მაშინ იქიდან ვეღარც ორთქლი ამოვიდოდა და ვეღარც ლავა; ხალხიც მოსვენებითა და უშიშრად იცხოვრებდა იქ—თქვა ნიკომ.

— შენ ძალიან ცდები, ჩემო ნიკო, თუ მართლა გგონია, რომ კრატერის ამოვსებით შეიძლება ადამიანმა ვულკანის მოქმედება მოსპოს და ამით ახლო-მახლო მცხოვრებნი უბედურებას გადაარჩინოს. კრატერი, რომ მიწით და ქვით ამოივსოს, უბედურებას მაინც არაფერი ეშველება: ამით მხოლოდ მთას სიმაღლე მოემატება; ვულკანური მოქმედებაც, შეიძლება, ცოტა ხნობით მოისპოს, მაგრამ ეს მოსპობა დიდი უბედურება იქნება მახლობელ ქვეყნებისათვის. ამ ას-ოცას წლის წინად ვეზუვი დაწყნარდა, იქიდან აღარ ამოდიოდა მიწის ნადული; მაგრამ ამის გამო მთელს იტალიაში საოცრად გახშირდა მიწის ძვრა. ეს მიწის ძვრა მთელი რვა წელიწადი გაგრძელდა და მოისპო იგი მხოლოდ მაშინ, როცა ხელახლად ვეზუვიდან ორთქლი და ლავა ამოსქდა. ამ გვარი მოვლენა ხდება სხვა ვულკანებისგანაც, რომელთა რიცხვი ქვეყანაზე მრავალია: მოისპო თუ არა რომლისამე ვულკანის მოქმედება, მაშინათვე მახლობელ ქვეყნებში დაიწყება ხოლმე ძლიერი მიწის ძვრა; ეს ამიტომა ჰდება, რომ ქვესკნელს მყოფი ორთქლი ცდილობს მალლა ამოვიდეს, მაგრამ რადგან თავისუფალ ამოსასვლელ ადგილს ვერ პოულობს საშინელი ძალით აწევბა დედამიწას და ანძრევს მას იმ დრომდის, სანამ არ ამოხეთქს საღმე

აიღე თუნდ ქვაბი, ჩაასხი შიგ წყალი, მჭიდროდ დაჭურე სახურავი, ცეცხლზე შედგი. როცა წყალი აღუდდება, შენიშნავ, რომ ქვაბში მყოფი ორთქლი აწევბა სახურავს და მალლა-მალლა ახტუნებს; თუ დიდხანს დააცადე, შეიძლება სახურავი ქვაბიდან ორთქლით სრულად გამოაგდოს. მოხადე სახურავი, მაშინ ნახავ, რომ წყალი ქვაბში წყნარად დაიწყებს დუღილს და ორთქლიც ნელ-ნელა წავა ზევ-ზევით.

აი, ამიტომაც უმჯობესი იქნება, თუ ვულკანს პირი ყოველ-თვის გახსნილი აქვს.

— მაშ, როგორც ვხედავ, არაფერი საშუალება არა ყოფილა, რომ ადამიანი ვულკანი, ცეცხლ-მქშინავი მთა, უვნებელი გახადოს! თქვა ნიკომ.

— რასაკვირველია, არავითარი საშუალება არ არის.

— ოჰ, როგორ მიხარია, დედა, რომ ჩვენ იმისთანა ქვეყანაში ეცხოვრებთ, სადაც ცეცხლ-მქშინავი მთები არ არის. ჩვენ არც მიწის ძვრისა გვეშინია, არც ლავისა, არც ტალახის მსგავსის წვიმი-სა და არც ვულკანის ღვეღვისა, — თქვა მაშომ. — დედა, შენ ხო-არხეინადა ხარ, რომ ჩვენს სახლს არც ლავა დაწვეს და არც ღვე-ლფი ჩანთქავს?

— ნუ გგონია, შეილო, რომ ჩვენს ქვეყანაში ამ გვარი უბე-დურება არაოდეს არ მოხდება. მე, ახლავე გაიმბობთ ისეთს შე-მთხვევას, საიდანაც გაიგებთ, რომ შესაძლებელია მიწის ძვრა და ლავის ამოხეტქა იმ ქვეყანაშიაც მოხდეს, სადაც ხალხი დამშვიდე-ბული ბედნიერათ ცხოვრებს და არა ფიქრობს, რომ იმის ქვე-ყანაშიაც ამ გვარი უბედურება ოდესმე მოხდება; მაგრამ სა-ნამ ამგვარ ამბავს გეტყოდეთ, ჩემო კარკებო, თქვენ ააწყვეთ ჯერ ამერიკის ქარტა.

თ. შოპრიშვილი

(შემდეგი იქნება)



## მელია და მაიმუნი

(ეზოპის იგავი)



ურება უქონდათ ნადირებსა,  
 მეფე უნდა აერჩიათ,  
 გულ-დადებით, გონიერად,  
 საქმე სურდათ გაერჩიათ.  
 მათ მეფობა გულ-მხურვალედ  
 მაიმუნმა მოინდომა;  
 სიჩქარით და ხელოვნურად,  
 აქა-იქა იწყუა ხტომა.  
 ხეზე შეხტა, ძირს ჩამოხტა,  
 გადიარა მალაყები...  
 ბევრი „ვაშას“ დახილითა  
 დაელაღათ ზოგსა ყბები.  
 ბევრსა ძლიერ მოეწონა,  
 ვითა ბრძენი და გრძნეული.  
 ბოლოს ერთხმად, ნადირთაგან,  
 მეფედ იქმნა არჩეული.  
 მელა ყველას თვალით ხედავს,

ბუტბუტებს ბრაზ-მორეული:  
 ,,მეფობა შენ არ გეკუთვნის,  
 უცხო ხარ და შორეული.  
 აბა, ვნახოთ, იმეფებ, თუ  
 შეიქნები დასაწუნი“...

მერე ხვრელში მახე უგო,  
 რომ გააბას მაიმუნი.

მოირბინა მაიმუნთან,

უთხრა: — ,,მეფევ, დიდებულო,

უტრადლებას ნუ ამაქცევ,

შენსა მონას, კეთილ-სულო!

მე რომ შენი ერთგული ვარ,

ამაზე მსურს დაგიფიცო,

ჯეროვანად, ჩემსა მეფეს,

ერთგულობა დაგიმტკიცო:

იმა ხვრელში, მე ვიპოვნე,

სახელმწიფო სატნჯეო,

ღირსი ხარ და ვერ გამოლევ,

როგორც ვსურდეს დახარჯეო!..“

მაიმუნი გაკყვა მელას,

დაიჯერა მისი თქმული;

ხვრელში ჩახტა, მაგრამ დახეთ,

რომ შეიქნა მახით ბმული!

თავს დასცინა მაიმუნსა,

მელიმ: — ,,ე მაგ ჭკუის ხარო!

გამგეობა მოინდომე

სხვისა, თითონ უმეცარო!..“

## სურათები

ფრინველთა ცხოვრებიდან


### III

ჩიტები (paseres)



რინველებში ყველაზე დიდ ჯგუფს ჩიტები შეადგენენ და მაგლობელი ფრინველებიც თითქმის ყველანი ჩიტების ჯგუფს ეკუთვნიან. ჩვენს მეგობარს, ბელურა ჩიტს, ყველანი ვიცნობთ და უფრო ჩვეულებრივ ვართ ჩიტის სახელათ მხოლოდ ბელურა წარმოვიდგინოთ ხოლმე, მაგრამ ჩიტები ძლიერ მრავალ-ნაირნი არიან და ამიტომაც ის ფრინველები, რომელნიც სხეულის გარეგან და შინაგან აგებულებით ბელურა ჩიტს მამისგანსებია, ყველა ეს მეცნიერებმა ერთ ჯგუფში მოაქციეს და უწოდეს ჯგუფი ჩიტებისა.

აბა, მოკლედ ჩამოვთვალოთ ზოგიერთები:



ბელურა, ადამიანს ყველგან თან დადევს და მის მეზობლად

უყვარს ცხოვრება. მისი სამშობლო ევროპა, ჩრდილო-აზია და აფრიკა არის, მაგრამ ამ ბოლოს დროს განგებ წაიყვანეს ავსტრალიაში და ამერიკაში, რადგან ბელურა ბევრ ჭია-ლუას და მწერებს მუსრავს და ამით დიდი სარგებლობა მოაქვს კაცისათვის.

მეცნიერ ბრადლეს გამოკვლევით, როცა ბელურებს ბლარტები ჰყავთ, ერთი წყვილი ბელურა ყოველ ცისმარად დღეს 3.300 ჭია-ლუას ანადგურებს. თუ იმასაც ვიტყვი, რომ ბელურები ყოველ ზაფხულს სამჯერ გამოჩეკენ ხოლმე ბარტყებს, მაშინ აშკარათ დავინახავთ, ბელურები რა დიდ ძალ ჭია-ლუას და მწერებს მოაშორებენ ხოლმე ჩვენს ბაღებს და ხეხილებს. მაშასადამე ბელურები რომ არა გვშველოდნენ, ეს აუარებელი მწერი და ჭია-ლუა კალიასავით სრულებით მოჭამდნენ ჩვენს ბოსტნეულობას და ხეხილს.

მაშ რალათ ვემტერებით, ბავშვბო, ჩვენს მეგობარ ბელურა ჩიტებს? რად ვეძებთ იმათ ბუდეებს, ეუშლით, კვერცხებს ეუმტერევით და ბარტყებს ვჟლეტავთ? განა ეს უსამართლოება არ არის, რომ სიკეთეს სიავკაცით ვუხდით! შეიძლება მიბასუხნოთ, რომ თუთას, ბაღს და სხვა ხილს, აგრეთვე პურის მარცვლებს ჰკენკავენო, მაგრამ ეგ ზარალი რა სათქმელია იმ სიკეთესთან, რომელიც ბელურებს მოაქვსთ კაცისთვის

ახლა სხვა ჩიტებზე ვთქვათ:

აღდონი—აფრიკის ჩიტია, კანარის კუნძულებიდან არის მოყვანილი და ამიტომაც რუსულად კანარეიკა ეწოდება, პატარა მგალობელი ფრინველია, ყვითელი ფერისა, ჩვენში გალიაში ჰყავთ ოთახებში და ადვილად მრავლდებიან.

მუსხ-ნისკატა გამოჩენილია თავის მაგარ ნისკარტით, რომლითაც კაკლის ნაჭუჭებსაც კი ადვილად ამტერებს.

მწყერ-ჩიტა—ჰაერში ტრიალებს და გალობს; მიწაზე ძინავს და მიწაზედვე იშენებს ბუდეს.

ჩიტების ჯგუფსავე ეკუთვნიან:

გუფ-წითლას, ზამთაძა, ჭივჭავი, ჩიტ-შატონა, დამბ-მძვანდა, ჭვინტა და სხვ.

გამოჩენილი არიან თავის გასაოცარ ხელოვნებით, ბუდეების აშენებაში, შემდეგი ჩიტები:

ფეიქაძა, Ploceus, აზიაში და აფრიკაში ცხოვრებს; ზაფხულობით შეენიერი ჭრელი ბუმბულებით არის შემკული და ზამთრობით კი ნაცრის ფერია, ისე ხელოვნურად ქსოვს თავის ბუდეს,

რომ ადამიანსაც კი გაუჭირდება. მასალად მცენარეულ ბეწვეულს ხმარობს და მერე ძლიერ მკვიდრად წნავს სხვა-და-სხვა ფორმის ბუდეებს—ზოგი ქისას გაეს, ზოგი მსხალს, ზოგი გიდელას და სხ. ამ გვარ ბუდეებს ჩამოაკანჭურებენ ხოლმე ხის წვრილი ტოტების ბოლოებზე, ან ლერწმის კინწროვებზე და ზოგჯერაც ზედ წყალზე არიან დაკიდულნი. ამ ოსტატობას მისთვის ხმარობს, რომ თავის კვერცხები გადაარჩინოს გველებს და მაიმუნებს, რომელთაც ძლიერ უყვართ ფრინველების კვერცხებით ყელის ჩაკოკლოწინება. ერთიც — წიწკანას ჯიშის ჩიტია, ჩვენში ცხოვრებს და რუსულად რქმეზი ეწოდება. თავის შესანიშნავ ბუდის კედლების ასაშენებლად მასალად ხმარობს ცხოველთა და მცენარეთა ბეწვეულს, ნახ ხრალს, წმინდა ჩალას და ნამჯას, კანაფის ძაფს და სხ. მერე ამ მასალას თავის ნერწყვიტ აწებებს და თელავს.


ამის ბუდე საზამთროს ტოლა ბურთს ემსგავსება, რომელიც ლერწმის კინწროვზეა მობმული და წყალზე დაკიდული, პატარა შესაყალი მხოლოდ გვერდიდან აქვს და აქედან შიგნით მილი მიდევს, რომელშიაც დედალი რემეზი 5—7 თეთრ კვერცხს დებს და მართვების გამოჩეკას ორი კვირა უნდება.

საღანგანი - ინდოეთის მერცხალია და ზოგიც ზღვის მერცხლად იხსენებს. ეს მერცხლები თავის ბუდეებს იშენებენ ინდოეთის კუნძულების კლდიან კიდეებზე და შესანიშნავ მასალას ხმარობენ. საღანგანი თავის კუჭში ერთნაირ ლორწოიან ნივთიერებას ამზადებს, ეს ლორწო ნერწყვიტით ამოდის და ამ სქელ ლორწოში ურევს ზღვის ერთნაირ მცენარეს და მეჭურჭლესავეით გამოჰყავს თავის შესანიშნავი ბუდე.—ჩინელები და იაპონიელები ამ ბუდეს საქმელად ხმარობენ და ძლიერ გემრიელ სანუკერათაც ითვლება. ყოველ წლივ დიდძალ ბუდეებს აგროვებენ და ძალიან ძვირათაც ფასობს.

დერციკა—შესანიშნავი ხელოსანია. ხის ფოთოლს, რომელიც უფრო ჩამოკიდულია, მიაკერებს ხოლმე კიდევ რამდენიმე ფოთოლს, ამ გვარად მოზდილი პარკი გამოჰყავს, რომელშიაც დებს კვერცხებს და გამოჩეკს ხოლმე თავის მართვებს. ამ დერციკობის დროს, თავის ნისკარტს ნემსის მაგივრად ხმარობს და წვრილ ჩალას ძაფის მაგიერ.

ჩიტებად ითვლებიან აგრეთვე: წიწკანა, ბზენვია, კიუტა, ბოლოწითელი, ბულბული, შაშვი, ჩხართვი, წყლის შაშვი, ტოროლა, შო-

შია, ტარბი, მოლაღური, აი, აქ დახატული ჩვენი მერცხალი, ღამის



მერცხალი, ნამგალა ბოლო-შავი, მეკირიე, ალკუნი, პეპელა-ჩიტი და სხვ. ასე გასინჯეთ ჩიტების ჯკუფში ირიცხებიან აკრეთვე ყვავი, ყორანი, ჭილყავი, ჭკა, კაჭკაჭი, ჯაფარა ანუ ჩხიკვი, ოფოფი და მრავალთა უმრავლესი სხვა...

ყველა ამ ზემო ჩამოთვლილ ჩიტებში ბევრი, ძრიელ ბევრი ღამაში და შეენიერად ფერადებით მორთული ჩიტია, მაგრამ არის ერთად ერთი ჩიტი, რომელსაც ვერცერთი ვერ შეედრება სილამაზით.

ამ უშენიერეს ფრინველს სახელად სამოთხის ჩიტი ეწოდება და მართლაც შეფუკა შკენიუქებისა. ჯერ არ გამოჩენილა მთელ დედამიწის ზურგზე იმისთანა ფრინველი, რომ სამოთხის ჩიტს მორთულობით შეედრებოდეს, აკერ დააცქერდით სურათს, ჯერ ასე რა შეენიერია და ფერადი წამლებით რო იყოს დახატული, მაშინ ხო სრულ აღტაცებაში მოხვალთ, მაგრამ, განა ადამიანის ხელს შეუძლია ისე დახატოს ეს ფრინველი, როგორც თვით ბუნებას დაუხატავს და შეუმკია მოელვარე ფერებით! წარმოიდგინეთ მორთულობა: კისერი მჭროლი ყვითელი, იაღონის ფერი აქვს და შეუმჩნეველად, მოელვარედ შეენიერ ნაზ შეკოლადის ფრად, გადადის გულმკერდზე და დანარჩენ ტანზე. ორივე მხრიდან პატარა ჭრელ ფრთების ქვეშიდან, მრავალზე უმრავლესი ნაზი ბუმბულები აქვს გრძლად გამოფენილი, რომელნიც გასაოცარ კეკლუტობით, ოქროს ფრად ბზინავენ, ამ ბუმბულებთა შორის ორი დიდი ბუმბულია ლენტვიით აქეთ-იქედან გამოსული, რომელნიც მიხაკის ფერიდან დაწყებული თანდათან მომწვარ ყავის ფრად გადადიან. ყელი ამ ტურფა ფრინველს ზურმუხტის ფრად უფლვარებს და ყველა აქ ჩამოთვლილი ფერები ისე სრულის ჰარმონიით ამკობენ, და ავსებენ ერთი მეორეს, რომ არავითარი ოცნება ადამიანისა უკეთეს მორთულობას ვერ გა-

მოიგონებს. ნათქვამია „წამწყმინდა სილამაზემაო“ ამ შვენიერების მეფას, სამოთხის ჩიტსაც, სწორედ ისე მოუდის; ევროპის და ამერიკის კვლავი ქალები დაგიყვებულენ არიან და სული მოუდისთ სამოთხის ჩიტის ბუმბულებსთვის. ამ ქალებ-



ბის ცრუ-კოპწიაობას ის უბედურება მოაქვს, რომ ლამის სრულებით ამოწყვეტონ ეს ტურფა ფრინველები. ამ კოპწია ქალების სურვილის ამსრულებელნი ევლური პაპუასები არიან. პაპუასები სამოთხის ჩიტებზე ღამით ნადირობენ. სადმე უდაბურ, უტყეხელ ტყეში ჩასაფრდებიან ხოლმე შვილდით და დაჩლოუნებულ

ისრებით, კატასაებ აიპარებენ ხოლმე იმ ხეებზე, სადაც სამოთხის ჩიტებს უყვართ ღამ-ღამობით მოსვენება და რამდენსამე ერთად ხოცვენ. მერე მიაქვთ ამ უცხო ფრინველების შვენიერი ბუმბულიანი ტყაეი და ინგლისელებს უცვლიან არაყზე, ზიზილ-პიპილა მძივებზე, ან უბრალო ჭრელ ჩითებზე.

სამოთხის ჩიტები, უმთავრესად ინგლისელების სამფლობელოში, ახალ გვინეაში (ავსტრალიის კუნძულია) ცხოვრებენ და კიდევ კარგი რომ ინგლისელებმა ყურადღება მიაქციეს, მიხედნენ რომ ასეთუ ვაჟლეტინეთ ათიოდე წელს შემდეგ სრულებით ამოწყდება ჩვენი სასიქადულო ფრინველიო. ახლა სასტიკათ აკრძალულია სამოთხის ჩიტების ხოცვა.

ამ საუცხოვო ფრინველის ცხოვრება და ჩვეულება ძრიელ ნაკლებად აქვთ შესწავლული. უწინდელი მეცნიერები კი ამ კვლელს ფრინველს უფებოდ თვლიდნენ, ამიტომაც სახელი უწოდეს *paradisaea Apoda* — უფებო სამოთხის ჩიტიო. მაშინ ამტკიცებდნენ, რომ ეს ფრინველი, რადგან სამოთხის ჩიტია, მხოლოდ ნამით და ცვარით, და ყვაეილთა კეთილ-სურნელებით იკვებებაო. ამიტომ მთელ თავის სიცოცხლეს ჰაერში ატარებს, რადგან ფეხები არა აქვსო და როცა დაიღლება თავის გრძელის ბუმბულებით (ორი ბუმბული რომ აქვს გძელი ლენტეივით გამოსული) ჩამოეკიდება ხოლმე ხეების ტოტებზედაო. მამალ ჩიტს ზურგზე იმდენად აქვს ამოღრმავებული, რომ დედალი ჰაერშივე კვერცხებს დებს და თავის მეუღლის ზურგზე გამოჩეკს ხოლმე ბარტყებსაო.

ამ გვარი შეცდომა იმიტომ მოუხდათ უწინდელ მეცნიერებს, რომ როცა ევროპაში სამოთხის ჩიტის ტყაეს გზავნიდნენ, მართლაც უფებონი იყვენ, რადგან ადგილობრივ ველურს ხალხს ჩვეულებად ჰქონდათ ფეხების მოჭრა და იგივე პაპუასები ბევრს რასმე მოაჭორებდნენ ხოლმე.

ეს ლეგენდა მხოლოდ მაშინ აღმოჩნდა ჭორად და ზღაპრად, როცა ჩვენი დროის მეცნიერებმა ადგილობრივ ავსტრალიაში გაიციეს ეს უცნაური ჩიტი. — ის კი ნამდვილია, რომ სამოთხის ჩიტს მყუდრო ალაგას, სადმე უდაბურ, უტეხელ, გაუფლელ ტყებში უყვარს ცხოვრება და იქ იკვებება ხილით და მწერებით. ახდელ ალაგზე, მინდვრად, იშვიათად იმიტომ გამოდის, რომ ქარი მალე აუწეწამს ხოლმე შვენიერ ნახ ბუმბულებს ამ ტურთა ჩიტს და შვენიერებათა მეფას.



## ცხენი და ხარი.

( ივანე-არაკანი ლესინგისა )

**მ**აწვილი ცხენს მიაჭენებდა. შეხედა ხარმა და უთხრა ცხენს: „გრცხვენოდეს! მე ჩემს ღღეში არ დავემორჩილებოდი ბაღს.“

— მე კი დიდი სიამოვნებით ვემორჩილები.— უპასუხა ცხენმა.— „რა სახელი იქნებოდა ჩემთვის ყმაწვილის გადმოგდება!“

## მეომარე მკელი

**ნ**ეტუე ხსენებული მამაჩემი ნამდვილი გმირი იყო?“ — ეუბნებოდა მგელი მელიას. — „იმისი შიშით მთელი არე-მარე ძრწოდა. ორასზე მეტი მტერი დამარცხა. ან კი რა საკვირველია, რომ ბოლოს ერთმა მათგანმა აჯობა?“ მელიამ უპასუხა; „ეგ მართალია, მაგრამ უნდა ვითხრა, რომ ის ორასი მტერი სულ ცხვრები და ვირები იყვენ, და ის ერთად-ერთი იმისი დამმარცხებელი კი იყო ის პირველი ხარი, რომელსაც მამა 'მენმა დაუპირა კბილის გაკვრა.“


## ლომთან მოსიარულე ვირი

**რ**თხელ ლომი და ვირი ერთად დადიოდენ ტყეში. შეხვდათ მეორე ვირი.

— გამარჯვება, ძმობილო! უთხრა იმან თავის მეგობარს.

— ბრძივო! — შესძახა მრისხანედ პირველმა.

— „კარგი, კარგი!“ — უპასუხა მეორე ვირმა. „განა ლომთან რომ დადიხარ, ჩემზე უკეთესი ხარ? ნუ თუ შენი თავი ვირი აღარა გგონია?“



ანდაზები

(დავით გურამიშვილიდან)

- 1, თუ კაცსა ცოდნა არა აქვს, გატანჯავს წუთი-სოფელი.
- 2, იყავ შენ გულმართალია, როგორც რომ სამართალია.

(წარმოდგენილი ა. გვარამაძისაგან)

- 3) თვალი გულის სარკეა, ეინც დააკვირდება, ბევრს რასმე ამოიკითხავს.
- 4) ის რა ცინება, რომელიც ერთი ფეხის კვრით წაიქცევა.

გამოცანები

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

შეე ზღვაში ჩაეალ, ამოვალ, თეთრ გზაზე დაეიარები.  
ჩემი ნაეალი ყეელასთეის, საამო სანეტარები,

ლითონიც არის, ქალაღდიც, ბეერია, დაუთელოელია.  
ჩჩრიალაა და წკრიალა, ხელითაც საკეცელია.  
ბეერის შემშლელი ჭკუიდან, ბეერი ავისა მქნელია,  
თუ ვერ მიმიხვდი, პატარაე,—ძუნწების საყეარელია.

ერთი რამე სულიერი, მთა-მთა წაეა წყალიეითა,  
ცეცხლი ძულს და შეეა უყეარს, ფთხალი არის ქალიეითა,  
თუ სახლშიგან შემოეიდა ამპარტაენებს რძალიეითა,  
ბეერს უნახეათ თაეადები, რომ მას ახლღენ ყმანიეითა.

(წარმოდგენილი ს. თარხნიშვილისაგან)

სიტურფით, სილამაზითა, სიჭრელე მახლავს ვეფხისა,  
ჩემსა სახლსა და საწოლსა ცეცხლი არ დაწევას მუხისა,  
არც სუნი აედინება,— თივა, ბზისა და ნეხვისა.

### ხ ა ლ ს უ რ ი ლ ე ქ ს ე ბ ი

(წარმოდგენილი მისგანვე)

წმინდა გიორგი კლდისაო, ნუ ამატყევებ კბილსაო;  
არცა ვჭამ მწარე ბოლოქსა, არც ნიაჭურის ძირსაო.  
არა მწამს ქინძი --ქონდრათა, --არც ნიახური მხლათაო,  
არც მინდა წითელი კაბა, არც ბერი კაცი ქმრათაო!!

აგრე, ბიჭო, დაჰკარ ფენი, აგრემც შეგეწევა ღმერთი.  
სამი სიტყვა გუშინ გითხარ, სამი ღღესა, გახდა ექესი.  
შენზე ვერა გაეაწყერა --ვერც შაირი, ვერცა ლექსი.

(წარმოდგენილი თ. რაზიკაშვილისაგან)

ეს მკათათვე მობძანდება, ყანამ მოიღერა ყელი  
ღამიძახეთ ვაჟაკებსა --ნამკლებს წამოაელონ ხელი,  
ურემს უღელი დააკრან, შიგ შეაბან კამეჩები,  
ძნა კალოზე მოიტანონ, ყანა იყოს, გინდა ქერი.

### ჩ ქ ა რ ბ ა გ ა მ ო ს ა თ ე ქ მ ე ლ ი

(წარმოდგენილი ვ. ბიბილაშვილისაგან)

აქლემო, ყელ-გძელო, ყელ-პტყელო, გადადი კლდე პტყე-  
ნო. გადმობდი კლდე პტყვენო.  
ნალი რა ნალი, რუსული ნალი.

### ჯ მ ა

(წარმოდგენილი მ. ლელაშვილისაგან)

მიყვარს და მიყვარს, კვლავ ის მგოსანი,  
რომელიც აძლევს ნუგეშს დაჩაგრულს,  
რომ ზენა არსი უყვარს გულითა;  
ამიტომ, თვარე შეეწირავდი გულს?

### აკროსტიხი

(წარმოდგენილი მისგანვე)

ერთი მოძმეცა დავკარგეთ... ძმანო!  
 ნეტარ ხსენება იმის წმინდა სულს!  
 „ის მოკვდა, მაგრამ არ არის მკვდარი“,  
 ნურც დავიგულებთ საფლავში დაფლულს.  
 ოხვრით დემარხეთ, იგი ჩვენს გულში,  
 შუქი ბრწყინვალე ადგას დამარხულს.  
 „ვაით“ ვიგონებთ, მაგრამ მკვდარს რაღა?  
 იგი ელოდა წინათ სიხარულს,  
 ლუკმა როდესაც ენატრებოდა,  
 იმ ბედისაგან მწარეთ დაჩაგრულს!..

### შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი ვ. ბიბილაშვილისაგან)

„მანით“ იწყება სახელი,  
 მას მოდევს მერე „ტარია“,  
 მესამე მანათობელის  
 სახელი სხვა რამ გვარია;  
 ხმარობდენ უნავთობისას  
 ახლა კი არ იხმარიან,  
 მთელი ივერის გულზედა  
 ლამაზათ მიმდინარია.

### რ ე ბ უ ს ი

(წარმოდგენილი ვასილ ნიკოლაძესაგან)



ხსენება



დამ--7, დი, ლმ 1  
 დიდ

### № III გამოცანების ახსნა:

1) ჩექმები. 2) კულა 3) სიკვდილი და დაბადება. 4) ბაყაყი. ზმა. თუთა, სარა, წერეთელი, თარი, ევა, შოთა, ოთია, დილა, თამარი, ცირა, ომი, დავა მათე.

აკროსტიხი. 1) აღდგომა ქრისტესი 2) ი. ი. კერესელიძე. შარადა ბუნება.

რეზუსი: როდესაც ერი გზა დაბნეული ერთი მეორეს საფლავს უთხრიდა, როცა მტარვალი ძალ მომრეობდა და ობოლი კი ცხარე ცრემლს ღვრიდა, მაშინ ზეგარდმო მადლით ცნებული გამოჩნდა კაცი ქვეყნისა მსხნელი: მალალი სულით, სევდით მოცულით, ტკბილ სიყვარულით აღესილი გულით, ძმობას, ერთობას განაერცვლებდა. ყველგან სიმართლეს პატივსა ცემდა. ძულდა ღალატი მას მეგობარის, ქცევა კაცისა ფარსევლოური. ამისთვის ეკლის გვირგვინ დადგმული იქმნა, ვით თული ტანჯვით ჯვარცმული.

რეზუსი ახსნეს და მიიღეს საჩუქარი ქ. თბილისში: კ. დიასამიძემ, ბაბო ქართველიშვილმა, ალ. ჭრელაშვილმა, მ. დარჩიაშვილმა ფ. ლაზარევმა, ალ. კავსაძემ, ა. მესხიევმა, ი. ომანიძემ, თბილისის ეპარხიალურ სასწავლებლის მესამე კლასის მოწაფეებმა. თბილისის სასულიერო სასწავლებლის მოწ. თ. ცინცაძემ. ქალაქს გარეთ გორში — ან. კასრაძემ, ბიბილაშვილმა. ზათუმში: არ. მჭედლიშვილმა, ქუთაისში: ელ. ქიქოძემ, ალ. გოლოვინის ასულმა, ლ. თუმანიშვილმა, ბ. გაფრინდაშვილმა, ივ. იაშვილმა, კ. კანდელაკმა, ქუთაისის სათავად-აზნაურო სკოლის მოწაფე დავითმა. ოსურგეთში — კაკო გამრეკელმა, შალვა შარაშიძემ, ის. თავართქილაძემ, თელავში ს. ბერიტაშვილმა, ოსში ერეკლე ლობჯანიძემ. ყაზბეგში სტეფან-წმინდის მღვდელმა პ. ბარნოვმა. ჩხსატაურში — პოლიევქტე კალანდაძემ, ზანდუთის სკოლის მოწაფემ პ. სანაყოშვილმა, გაცხის სამრევლო სკოლის მოწაფემ ანტონინა ანთაძემ. ს. ჩხსრში სევერინა ჯუღელმა. — ყვირილასში ბარნაბა ქოჩიაშვილმა. ს. ხოტევი — მასწავლებელმა ვლადიმერ ნაცელიშვილმა.

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა



საქმაწვილო ნასატებიანი ჟურნალი

# „ჯეჯილი“

## წელიწადი მხსუთა

გამოდის 1894 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათუც აქამიდს.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგავები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის შიღება აღგვითქევს ყველა ჩვენში საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან., ტფილისს გარშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარი წლით. ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка № 102), „ქართულ სახალხო სამკითხველოში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Большая Водовозная ул., д. № 22 Айвазови.)

2) ქუთაისში—ან. ბაქრაძესთან, დიმ. ბაქრაძის სახლში.

3) გორში—ზ. ღვინდოვთან.

4) ბათუმში—მ. ნკოლაძის სააგენტოში.

5) თელავში—მ. ცისკარაშვილის აფთიაქში.

6) საჩხერეში—შარამან ჩხეიძესთან.

7) ბაქოში—მს. ამაშუკელთან.

8) შვირილაში—თ. ხუსკივაძესთან.

ფოსტის აღრესი: *Во Тифлисе, во редакцію ирузинскаго мѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა.